საქართველოს მემარცხენე სოც.-ფედ. სარევ. პარტია. წელიწადი მესამე

# ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 2,500,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 150,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სასახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—84.

განცხადების ფასი:
1 გვ. 20 კაპ. ჩერვონ. ნონპარელი
4 „ 15 „
სამგლოვიარო-განცხადები
1 გვ. 1 ...
4 „ 1 ...

№ 578 შაბათი, სექტემბერი 22 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 200,000

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი „ტრიბუნა“

ენკენისთვის 15-დან ღირება:

პროფკავშირთა წევრებისათვის თვიურად . . . . . 4.000.000 მ.

დაწესებულებათა და კერძო პირთათვის . . . . . 5.000.000 „

ცალკე ნომერი . . . . 200.000 „

## სოფლის მდგომარეობა

ჩვენი გლეხ-კაცობის მდგომარეობა ერთობ სერიოზულია. სოფელი მეტად სავალალო სურათს წარმოადგენს. თანამედროვე ზღაპრული სიძვირე—აი სამწუხარო მოვლენა ჩვენს ცხოვრებაში, რომელიც ღრღნის და ანიავებს მიწის მუშების მშვიდობიან კერას.

დღეს სოფელი და ქალაქი დაპირისპირებულა ერთიერს შორის. ფაბრიკა-ქარხნის ნაწარმოები ძვირია, სოფლის—იაფი. სიმინდი და პური, რომელიც წარმოადგენს ჩვენი სასოფლო მეურნეობის ძირითად პროდუქტს, შედარებით ფაბრიკატებთან არაფრად ფასობს. გლეხის შემოსავალი კი მარტო პირნახულით ამოიწურება უმთავრესად. თუ სოფლის ნაწარმოებს არ ექნა ბაზარი, უეჭველია, მიწის მუშების ცხოვრება გართულდება, მათი საარსებო პირობები გაუარესდება.

ამ მხრით, ოღევანდელი ჩვენი სოფელი სრულს გაჭირვებაშია ჩავარდნილი. გლეხობის დიდ უმრავლესობას არ გააჩნია ხეირიანი ტანსაცმელი, რიგიანი ფეხსაცმელი, პირველ საჭიროებისა და მოთხოვნილების საგნები. ფეხშიშველობა, ტანს ჩაუცმევლობა და სხ. ერთობ გავრცელებული მოვლენაა მიწის მუშათა უბნებში. შეხვდებით სოფლად მთელ რიგ გლეხებს, ბავშვებს, დედაკაცებს, მოხუცებს, ახალგაზრდებს, რომლებსაც სხეულის ნაწილები გამოუჩანს. კონკებით სცდილობენ მზისაგან გაშავებულ ტანის შემოსვას.

დიახ, სოფლის ვითარების დაწვრილებითი ცნობების აღნუსხვა ჩვენს წინაშე საშინელ სურათს შლის.

ზაფხულში იმდენად არ იყო საგრძნობი არსებული მდგომარეობა, ბუნება უწყობდა ხელს ვითარების მიჩქმალვას. გლეხობა იოლად გადიოდა უფართლოდ, უფეხსაცმლოდ. მაგრამ შემდეგში კი იცვლება საქმის მოხაზულობა. უკვე შემოდგომის ნიავი დაჰქრა და შემდეგ ზამთრის სუსხიც არ დაგვაკლებს თავის მოწყალებას, ყოველივე ეს უწინარეს ყოვლის პირში ხვდება გაღატაკებულ მშრომელ გლეხობას. უეჭველია, სანოვაგის კრიზისის ნიადაგზე მოსალოდნელია ათასნაირ ეპიდემიურ ავადმყოფობის გავრცელება სოფლად.

კიდევ ერთი მომენტი. სამოსწავლო წელი უკვე იწყება. შრომის სკოლებს აუარებელი შრომის ნორჩი შვილები მიაწყდებიან. როგორც კი დადგება სიცივეები, ფეხშიშველა, ტანშიშველა ბავშვები კერას ვერ გასცილდებიან. სწავლა-აღზრდისა და განათლების საქმე შეფერხდება დიდათ. შესაძლებელია კიდევ მრავალი მაგალითების ჩამოთვლა, სოფლის ტკივილების დაწვრილებით აღნიშვნა.

დასკვნა: თუ არ იქნა მიზანშეწონილი გზები და საშუალებანი გამონახული, სოფლის თანამედროვე მდგომარეობა გაუმჯობესებული, ჩვენ სავალალო ფაქტის მოწმენი გავხდებით. გლეხობაში ფეხს იკიდებს საერთო უკმაყოფილება ეკონომიურ კრიზისის ნიადაგზე. განა შეიძლება მასსის მარტო სიტყვით დაკმაყოფილება? ცხადია, არა. უფრო პრაქტიკული ხასიათის ღონისძიებანი უნდა გამოინახოს და სოფელს რეალური დახმარება უნდა გაეწიოს. უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი ქვეყანა სასოფლო-სამეურნეო ქვეყანაა. მცხოვრებთა 90 პროც. მშრომელი გლეხობაა. თუ არ მოეღო ბოლო გაღატაკებულ მიწის მუშათა ეკონომიურ-ფინანსიურ სიქესატეს, შენელების გზაზე დაადგება როგორც სასოფლო მეურნეობის მაჯისცემა, ისე კულტურულ ფრონტზე ძირს ჩამოიწევა აფრიალებული დროშა გაუნათლებლობასთან ბრძოლისა.

## პრესა

ჩვენი ქვეყნის ბუნების სიმდიდრეზე არა აქვთ წარმოდგენა არც ევროპაში, არც რუსეთში. ამის საუცხოვო მაგალითს გადმოგვცემს მოსკოვის რუსული გაზეთი „პრავდა“. მის თანამშრომელს სასნოვსკის დაუთვალიერებია მოსკოვის სამეურნეო გამოფენა და მისი ყურადღება მიუპყრია აფხაზეთის პავილიონს.

„აფხაზეთიო,—მოგვითხრობს ავტორი: სივრცით არ აღემატება რუსეთის რომელსამე მაზრას. აი ამ პაწია აფხაზეთში მოიპოვება ტყეები, სადაც ნახავთ 200—მდე სხვა და სხვა ჯიშის ხეებს. აქ იზრდება ერთგვარი ბზაც (სამშიტი). ეს ხე შესანიშნავია თავისის სიმაგრით, რომლის მზგავსი სხვა არ მოიპოვება არსად. გამოფენაზედ აფხაზებს წარმოუდგენიათ სხვა და სხვა ნივთები ამ ხისა. მათ შორის არის (მაქვა) საქსოვ მანქანაში სახმარებელი.

აღმოჩნდა, რომ ისეთ მაქვებს, რომლებიც ჩვენ მოგვაქვს საზღვარ-გარეთიდან, აკეთებენ აქვე, აფხაზეთში და უფრო კარგებს და მაგრებს. აფხაზებს შეუძლიანთ არა თუ დაკმაყოფილება ჩვენის მრეწველობისა ამ მხრივ, არამედ საზღვარ-გარეთაც გატანა“.

დიახ, ასეთია ჩვენი ქვეყანა!

## რადიო-დეპეშები

### ზაპროსტას ცნობები 19 სექტემბრიდან

#### გერმანიის ამბები.

**ბერლინი.** მარკა უფრო და უფრო ეცემა. დოლარი არა ოფიციალურად ღირს 370 მილ. მარკა.

**ბერლინი.** გერმანიის მინისტრები განაგრძნობენ რურის კონფლიქტის ლიკვიდაციის საჭიროების მტკიცებას. ჯანმრთელობის მინისტრმა გირტზიფერმა გააფრთხილა საზოგადოებრივი აზრი დიდი იმედი არ ქონდეთ ინგლისისა, რადგანაც გერმანიის ბედი არ აინტერესებს იტალეთ საბერძნეთის კონფლიქტსა და ფიუმეს საკითხში გართულ ევროპის პოლიტიკოსებს. შეეხო რა რაპალოს ხელშეკრულებას, გირტზიფერმა აღნიშნა, რომ ვირტის პოლიტიკა რუსეთის ორიენტაციით უნდა გაგრძელდეს შემდეგშიაც.

გირტზიფერმა აღნიშნა, რომ გერმანიის წარმოებამ ვერ გამოიჩინა საკმარისი ინიციატივა რუსეთის ბაზარზედ გასამაგრებლად. უნდა უკუვაგდოთ ევროპის სახელმწიფოებთან დამოკიდებულების გაუმჯობესების იმედი და მთავარი ყურადღება მივაპყრათ რუსეთსაო.

**ბერლინი.** გერმანიაში ყველა წრეებში დიდი უკმაყოფილებაა პუანკარეს უკანასკნელ სიტყვების გამო. მთავრობის პრესა კითხულობს, განგებ ხომ არ ცდილობს საფრანგეთი შექმნას გერმანიაში სრული ქაოსი, რათა დაგუბებულმა ჯავრმა შემდეგში ერთბაშად გადმოხეთქოს.

გერმანიის ყოველ მხრიდან გაისმის ხმები, რომელიც სამოქალაქო ომის საშიშროებას ჰბადებენ. რურის ოლქიდან მიღებული ცნობები მოწმობს, რომ ხალხი მეტად უკმაყოფილოა გერმანიის მთავრობის პოლიტიკისა.

ეხება რა პუანკარეს უკანასკნელ სიტყვას, გერმანიის პრესა აღნიშნავს, რომ პუანკარეს შეურიგებლობა ნაწილობრივად აიხსნება მით, რომ შტრეზემანის დიპლომატობას აკლია აქტივობა, და ურჩევს მთავრობას შესცვალოს თავისი ელჩი პარიზში. „ფორვერტსი“ მოითხოვს გერმანიის ვალების გადახდის უნარიანობა გადაეცეს სარეპარაციო კომისიას.

**ბერლინი.** დაბა გოფში (ზემო ბავარია) ფაშისტებმა გამართეს დღესასწაული, რომელშიაც მიიღეს მონაწილეობა ბავარიისა, ტიურინგიისა და საქსონიის ფაშისტებმა. საქსონიის ფაშისტებს უკან დაბრუნებისას შეტაკება მოუხდათ კლაუზენში ადგილობრივ მუშებთან.

**ბერლინი.** ლაიპციგში შესდგა პროლეტარულ რაზმების დემონსტრაცია. ორატორებმა აღნიშნეს დიდი კოალიციის პოლიტიკის დამარცხება და გამოსთქვა, რომ პროლეტარული რაზმები ეს პირველი ჩანასახია წითელი არმიისა, რომელიც უზრუნველყოფს პროლეტარულ რევოლიუციის გამარჯვებას. ასეთივე დემონსტრაციები მოეწყო დრეზდენსა და ცვიკაუში.

## დღიური

— ესპანეთში სოციალისტებმა გადასწყვიტეს თავი შეიკაონ გამოსვლებისაგან.

— პალესტინაში აჯანყებულნი იმარჯვებენ; მთავრობა გადადგა.

— ესპანეთში გაუქმებულია კონსტიტუციონალური გარანტიები.

— ყველა ყოფილი მინისტრები დატუსაღებულია.

— გერმანიაში მარკა უფრო და უფრო ეცემა.

— გერმანია უკმაყოფილოა პუანკარეს სიტყვისა.

— უსურსათობის გამო გერმანიის ბევრ ადგილებში ხდება გამოსვლები.

— ფრეიბურგში დაიწყო საერთო გაფიცვები.

— ერთა ლიგა იტალეთ-საბერძნეთის კონფლიქტს არსებითად გათავებულად სთვლის.

— ბოლგარეთში იფეთქა რევოლიუციამ.

**ბერლინი.** სურსათის კრიზისის ნიადაგზედ ბევრ ქალაქებში მოხდა მუშების გამოსვლა, რომელმაც მიიყვანა პოლიციასთან შეტაკებამდე. ვიზენტანში მუშები საერთო გაფიცვით იმუქრებიან, თუ არ იქნება გადიდებული ხელფასი და არ დართავენ უფლებას, მოიწვიონ ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების კონგრესი.

გერმანიის რკინისა და ფოლადის მრეწველობა დიდ კრიზისს განიცდის. 25 პროც. წარმოებისა დახურულია.

**ბერლინი.** გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრმა, სოც.-დემოკრატმა ზოლმანმა განაცხადა, რომ გერმანია უნდა შეურიგდეს იმ აზრს, რომ რურის ბრძოლა დამთავრდება გერმანიისათვის მეტად მძიმე მშვიდობიანობით. მისი აზრით უმუშევრობის გაზრდას ხელს უწყობენ მწარმოებელნი საგადასახადო პოლიტიკისათვის საბოტაჟის გამოცხადებით. მთავრობას განზრახული აქვს ებრძოლოს წარმოების დახურვას.

**ბერლინი.** ბადენის ოლქში კომპარტია მოუწოდებს საერთო გაფიცვისაკენ. ფრეიბურგში საერთო გაფიცვა დაიწყო 18 სექტემბერს. ბადენის მთელ რიგ ქალაქებში გამოცხადებულია საალყო წესები.

ესენის რაიონში იფეთქა მალაროების მუშათა გაფიცვამ სიძვირის ნიადაგზედ.

#### ს. ს. რ. კ. ცნობის გარშემო.

**მოსკოვი.** თეირანში რუსეთის სავაჭრო დელეგაციის მიერ მოწყობილმა ქსოვილების გამოფენამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა სპარსეთის მოვაჭრეებზედ. ინგლისელები აძულებული იქნენ დაეწიათ ფასები თავის საქონელზედ.

**მოსკოვი.** საკავშირო გამოფენაზედ ჩამოსულ იაპონიის დელეგაციის თავმჯდომარემ იამასაკიმ განაცხადა, რომ დელეგაციის მიერ გამოფენიდან გამოტანილი შთაბეჭდილება ხელს შეუწყობს რუსეთ-იაპონიის სავაჭრო ურთი-ერთობის გამაგრებას.

**პეკინი** (ჩინეთი). მოკავშირეთა პრესა პეკინში განაგრძობს რუსეთის პოლიტიკურსა და ეკონომიურ მდგომარეობაზედ ცრუ ხმების გავრცელებას, რაიც გამოწვეულია ჩინეთის მიერ რუსეთის მოსალოდნელ ცნობით. პეკინში ჩამოვიდა ჩუზან-ცზო-ლინა მომავალ რუსეთ-ჩინეთის კონფერენციაზედ მონაწილეობის მისაღებად.

#### ესპანიის ამბები

**პარიზი.** ესპანეთში გადატრიალება გამოწვეულია სხვილ მსარმოებელთა ინტერესებით. ახალი პრემიერი დე-რივერა კაპიტალისტების გავლენის ქვეშ იმყოფება. ესპანეთის კოლონიალური პოლიტიკის გაძლიერება გამოიწვევს კონფლიქტს საფრანგეთთან, რომელიც მხარს უჭერს ესპანეთის საწინააღმდეგო მოძრაობას მაროკოში.

**პარიზი.** საფრანგეთის მემარცხენე პრესა შეფიქრიანებულია ესპანეთის გადატრიალებასთან დაკავშირებით საერთაშორისო გართულების შესაძლებლობის გამო. ესპანეთის სოციალისტებმა გადასწყვიტეს თავი შეიკავონ გამოსვლებისაგან. მიუხედავად იმისა, რომ გადატრიალებას ანტი-პროლეტარული ხასიათი აქვს.

**რომი.** მადრიდიდან მიღებულ ცნობებით, ესპანეთში მეფის დეკრეტით გაუქმებულია კონსტიტუციონალური გარანტიები.

ყველა ყოფილი მინისტრება დატუსაღებულია.

**პარიზი.** დე-რივერამ მიიწვია გაზეთების რედაქტორები და დეპეშათა სააგენტოების დირექტორები და შესაფერი „ინსტრუქციები“ მისცა.

**ლონდონი.** ახალი მთავრობა ამოკლებს სახელმწიფო ხარჯებს.

## უცხოეთი

**პრაგა.** (ჩეხო-სლოვაკია). პრაგის თვითმართველობის ორგანოებში არჩევნების დროს სოციალისტებმა მიიღეს 51 მანდატი, კომუნისტებმა—19, სოციალ-დემოკრატებმა—23 და გაერთიანებულმა სოციალისტებმა—1 მანდატი.

**ვარშავა.** პოლონეთის მთავრობა შეუდგა განაპირა ქვეყნების საკითხის განხილვას. მოსალოდნელია რეჟიმის გამწვავება უკრაინისა და ბელორუსიის ადგილებში.

**ვარშავა.** პოლონეთში სამრეწველო კრიზისი მწვავდება. ფაბრიკები კვირაში მხოლოდ 3 დღეს მუშაობენ. მწარმოებელთა და მუშათა შორის დაიწყო თათბირი, სადაც მუშები ამტკიცებენ, რომ მწარმოებელნი განგებ იწვევენ უმუშევრობას.

**ნიუ იორკი.** ამერიკაში გამოცხადებულია კონკურსი სხვა ქვეყნებთან თანამშრომლობის საშუალებით ომის თავიდან ასაცილებლად საუკეთესო პრაქტიკული პლანის გამოსანახავად.

**ბერლინი.** პალესტინაში აჯანყებულებმა გაიმარჯვეს მთავრობის ჯარებზედ, რიც გამოც ტრანსიორდანის მთავრობა იძულებული შეიქმნა გადამდგარიყო.

**ლონდონი.** 1 ოქტომბერს ლონდონში შემდგება ბრიტანეთის იმპერიაში შემავალ სახელმწიფოების პრემიერების კონფერენცია. ითავმჯდომარეობს ბალდვინი.

კონფერენცია განიხილავს კონტრიბუციისა, საკავშირო ვალებისა და იმპერიის თავდაცვის საკითხს.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა თავდაცვის საკითხს, კერძოდ საჰაერო შეიარაღებას.

**ლონდონი.** „ერთა ლიგის“ საბჭომ მიმართა ჰააგის ტრიბუნალს განმარტოს ამ უკანასკნელმა ლიგის კომპეტენცია იტალეთ-საბერძნეთის მსგავს კონფლიქტებში.

**პეკინი.** (ჩინეთი). პეკინის სტუდენტთა კავშირი პროტესტს აცხადებს პრეზიდენტად სამხედრო წრეების წარმომადგენელის არჩევაზედ.

**ვენა.** მიღებულ ხმებით, ბოლგარეთში იფეთქა რევოლიუციამ.

## ახალი ამბები

აკაკი ფალავას ხელმძღვანელობით არსებულ დრამატიულ სტუდიაში მეცადინეობა განახლდება სექტემბრის 24-ს; ახლად მისაღებ სტუდიელების გამოცდა მოხდება სექტემბრის 30-ს, დილით 10 საათზე.

— **განთავისუფლება წყლის გადასახადისაგან.** ქალ. აღმასკომმა დაადგინა წყლის გადასახადისაგან განთავისუფლებული იქნეს შემდეგი კატეგორიები: 1—ინვალიდები, 2—პენსიონერები და საზოგადოთ უმუშევრები, რომლებიც იმყოფებიან სოც. დაზღვევაზე.

— **აღმასკომის ფასადის შენობის შეკეთება.** აღმასკომის მცირე პრეზიდიუმმა დაამტკიცა ხარჯთაღრიცხვა აღმასკომის შენობის ფასადის შესაკეთებლად და წინადადება მიეცა კომუნალურ განყოფილებას დაუყოვნებლივ შეუდგეს მუშაობას.

— **ქუთაის-ხონის რკინის გზის გაყვანა.** მეტად ენერგიული მუშაობა სწარმოებს ამჟამად ქუთაის და ხონის რკინის გზის საჩქაროთ გასაყვანათ.

— **მოსე თოიძის სამხატვრო სტუდია.** მოსე თოიძის სამხატვრო სტუდიაში მეცადინეობა დაიწყება 25 სექტემბერს.

— **რკინის გზის სექცია.** შრომის ბირჟამ დაადგინა რკინის გზის შრომის სექცია გადატანილი იქნეს შრომის ბირჟის შენობაში.

— **სახლი უმუშევართათვის.** საბინაო კოოპერატივმა შრომის ბირჟას გადასცა ერთი სახლი უსახსრო უმუშევართათვის.

— **მეპურეთა არტელების გაერთიანება.** შრომის ბირჟის კომიტეტმა დაადგინა შექნას მეპურეთა ძლიერი არტელი.

— **ტრამვაის ახალი ვაგონი.** გუშინ დილის 11 საათზე მუშებმა ტრამვაის პარკიდან გამოიყვანეს ახალი ვაგონი № 106.

— **შრომის ბირჟა.** 19 სექტემბერს შრომის ბირჟაში აღრიცხვიზე გამოცხადდა 563 უმუშევარი, ჩაეწერა 151 უმუშ. სამუშაოზე გაიგზავნა 85 უმუშევარი.

**ლადო მესხიშვილის ქალიშვილის წარმოდგენები.** კვირას; 23 სექტემბრიდგან, რუსთაველის თეატრში იწყება ნიჭიერი მსახიობ ქალის ბარბარე ალექსი-მესხიშვილის წარმოდგენები. ბარბარე მესხიშვილი შვილია ქართულ ხელოვან განსვენებულ მსახიობ ლადო მესხიშვილისა და რუსულ სცენაზე ერთ-ერთ საუკეთესო მსახიობათ ითვლება ამ ჟამად.

— **სამეურნეო მანქანების გაქირავება.** მიწ. მოქ. სახ. კომისარიატის აგრო-დახმარების ქვეგანყოფილება აწარმოებდა აგვისლოს თვის სამეურნეო მანქანების გაქირავების საქმეს.

— **მინდვრის თაგვები.** ბაკურიანის რაიონში ძლიერ გამრავლებულია მინდვრის თაგვები. მიწ. მოქ. სახ. კომისარიატის მიერ მოწყობილი იქნა საჩვენებელი მუშაობა მინდვრის თაგვების წინააღმდეგ საბრძოლველად.

— **ცეკავშირის მუშაობა.** შეკეთებული და ამუშავებული იქნა 1917 წლიდგან შეჩერებული, აბრეშუმის პარკის მექანიკურად სახმობი მანქანა.

— **ბამბის დამზადება.** სახ. სასურსათო კომისარიატს განზრახული აქვს დაამზადოს 20 ფ.

— **საქ. სახ. მოსამსახურეთა საბჭო.** გაუქმებული იქნა, თანახმად სრულიად ცაკის მე-4-ე სესიის დადგენილებისა.

— **დარაბის გაქურდვა.** 17 სექტემბერს მე 9-ე სამილიციო რაიონი დილის 3 საათზე დაპატიმრებული იქნა პროფესიონალური ქურდი მოქ. ხოთარრვი, რომელსაც „ოტმიჩკით" გაეღო დარაბი № 7767, (ჩერქეზიშვილის ქუჩ. № 33) და გამოეტანა 14 ფანჯრის მინა, ბოროტმოქმედი გადაგზავნილია სისხლის სამართლის მილიციაში.

— **ბინის გაქურდვა.** მე 3 სამილიციო რაიონში სექტ. 17 გაქურდული იქნა მოქ. დანიელ რგოლევსკის და პანთელიმონ გოჩიროვის ბინა მცხ. ნიკოლოზის ქუჩა № 37-ში ქურდი იქნა შეპყრობილი მოპარულ ნივთებით, ქურდი აღმოჩნდა ჯანგელაძე.

— მე-10-ე სამილიციო რაიონში გაქურდული მოქ. ნიკოლოზ ქავთარაძის ბინა მცხ. გოგოლის ქუჩა № 50, საიდგანაც წაღებულია სხვა და სხვა ნივთები ღირებული 500 მილ. მან. ბოროტ-მოქმედი არ არის აღმოჩენილი.

— **ეკლესიის გაქურდვა.** 16 სექტ. 1-ლი სამილიციო რაიონში გაქურდული იქნა „წმინდა გიორგის" ეკლესია. საიდგანაც წაღებულია სხვა და სხვა ნივთები. მიღებულია ზომები ბოროტ-მოქმედების აღმოსაჩენათ.

— **ვალიუტის კურსი.** 21 სექტემბერი.

| | | |
|---|---|---|
| ჩერვონეცი | 47,800,000 | მ. |
| სტერლინგი ეფექ. | 44,800,000 | „ |
| ჩეკი. | 42,700,000 | „ |
| დოლარი ეფექ. | 9,700,000 | „ |
| ჩეკი. | 9,050,000 | „ |
| ოსმალური ლირა | 6,350,000 | „ |
| საბჭოთა ფული | 15,500 | „ |

## პარტიაში

დღეს, ამა ენკენისთვის 22, საღამოს ზუსტ 7 საათზე პარტ. ცენტრალურ ბიუროში (ლორის-მელიქ. ქ. № 1) დანიშნულია მე-4 რაიკომის სასწრაფო სხდომა.

რაიკომის წევრებს ვსთხოვ ნუ დაიგვიანებენ.

რაიკომის მდივანი აკ. ხარაძე

# საქართველოს ისრაელთა ავტონომია*)

რაბინი დავით ბააზოვი და მისი შვილი ჰერცელ ბააზოვი—სოფლად ბააზაშვილები,—აგრეთვე მათი თანამოაზრეები, რომელთაც განუზრახავთ დაარსონ ებრაული კულტურის საზოგადოება **თარბუთ** (კულტურა) ჰქადაგებენ ებრაულ ნაციონალიზმს საქართველოს ისრაელთა შორის. სიონიზმიც ამასვე ჰქადაგებს, მაგრამ იმავ დროს მთელ ქვეყნიერებაზე გაფანტულ ებრაელობას ურჩევს თავის მოყრას სიონს, ე, ი. იერუსალემში, რაც ერთგვარ მცნებად გადაქცეულა ებრაელთათვის მას აქეთ, რაც პირველად მომხდარა მათი აყრა და უცხო ქვეყნებში გადასახლება ლტოლვის, თუ ტყვეობის სახედ. თარბუთელები კი არაფერს ამბობენ, რა კავშირი აქვს სიონიზმთან იმ საკულტურო ავტონომიას რომელიც ჰსურთ ქართველ ისრაელთათვის. საბჭოთა მთავრობის სკოლა არ გვაკმაყოფილებსო, გაიძახიან და მოითხოვენ განსაკუთრებული ტიპის სკოლას, სადაც უნდა შეასწავლონ ისრაელმა ახალთაობამ ებრაული კულტურა, მეცნიერება და ხელოვნება. წერილმა, რომელიც **კომუნისტში** დაბეჭდილ იყო იმავ რაბინის ბააზოვის მიერ საქართველოს ისრაელთა ავტონომიისთვის, ისეთი შთაბეჭდილება დამიტოვა, რომ იმ სკოლაში საგნების სწავლება ებრაულად უნდა იქნ ეს. პასუხი კიდევ, რომელიც იმავ ნომერში გასცა **კომუნისტმა**, თუ არა ვცდები, ისეთი იყო, რომ ასეთი. სკოლა დამაკმაყოფილებელ იქნება უფრო ებრაელთა ხახამების და ბურჟუების, ვიდრე ებრაელთ მშრომელი მასებისა.

სარწმუნოებით ერთვნების განსაზღვრა და ძირითადი შთამომავლობის ძიება შორს წაგვიყვანს, ბოლოს კი ვერაფერს გავხდებით, რადგანაც ერთისა და იმავე სარწმუნოების მიმდევარნი ისევე, როგორც კერძო პირთა ზოგჯერ მთელი ხალხის წინაპარნიც შეიძლება სხვა და სხვა ტომის იყვნენ. ჩვენა გვაქვს დღეს საქმე იმასთან, რაც ცხოვრების სინამდვილე არის. ფაქტია, რომ არსებობს საქართველოში ისრაელობა, რომელიც მტკიცედ ინახავს მოსეს რჯულს, მაგრამ მოსეს ენას აღარ ლაპარაკობს. ეს მასა არასოდეს დევნილ არ ყოფილა ანტისემიტიზმის სახელით, როგორც პოლონეთში და სხვაგან. შევიწროება და ტანჯვა იმდენად აუტანია, რამდენადაც ის ყოფილა თანამცხოვრები სოფლად ქართველ მშრომელთა მასებთან ერთად, რომელნიც ბატონყმობის უღელ ქვეშ იზნიქებოდნენ. მაგრამ ისიც მართალია, რომ ვაჭრობისთვის თავიდანვე მიუყვია ხელი და პატიოსანი შრომა ჩარჩობაში გაუცვლია, ქონებით გამდიდრებულა და როგორც ჩარჩი-ვაჭარი მუშტრის მყვლეფავად ქცეულა. თუ ქართველმა ისრაელებმა, ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ, მშრომელ ქართველობას სწავლაში მხარი ვერ დაუმშვენეს, მის ბრალს ვერ დავსდებთ ძველ რეჟიმს, რადგანაც მშრომელი ქართველობა მიუხედავად იმ რეჟიმის სიდუხჭირისა მაინც ახერხებდა შეძლების დაგვარად შვილების გაზრდას. ნაყოფი თვალწინა გვაქვს ეხლა, როცა განათლებული ნაყოფი შრომის შვილები მშრომელთა მასების. ბედის მესაჭედ გამოსულან ქართველი ისრაელობა კი სწავლა-განათლებას ჩამორჩა სარწმუნოებრივი ფანატიზმის მიზეზით. ხახამები უშლიდნენ ერთობას ქართველობასთან, ყველაფერი მათი არმად მიაჩნდათ გარდა ერთი დასაქმებისა, რომ პარასკევ საღამოს, როგორც შაბათის ძალში, სანთელი აენთოთ მათთვის. სკოლაში ბავშვის მიბარებას გაქრისტიანებად სთვლიდნენ, რის გამო წყევაკრულვით შეაჩვენებდნენ, ვინც გაჰბედავდა და შვილს მთავრობის სკოლაში მიაბარებდა.

დრომ მაინც თავისი გაიტანა და დღეს ათითოროლა ქართველი ისრაელთ მაღალ სწავლებშიაც არის გამოსული, არც გაქრისტიანებულა, დიდძალი მასა კი ისევ გონების სიბნელის და ცრუმორწმუნეობის სიდუხჭირეში იმყოფება. ამავ დროს ისრაელთ ნაციონალისტები. თუ სიონისტები მედგრად მოითხოვენ მის დაცვას, რაც მათ მიაჩნიათ ცრუ მორწმუნეობას ავრცელებს. ჩვენი სარწმუნოება იმ დროსვე ებრაულ ეროვნულ ორგანიზაციის წარმომადგენს და ჩვენი სალოცავები ხელუხლებელი უნდა დარჩესო, აცხადებენ, თითქოს უდიერად იდევნებოდეს. ის კი ავიწყდებათ, რომ სოციალისტური კულტურა ებრძვის ყოველ გვარ ცრუმორწმუნოებას, საიდანაც არ უნდა მოდიოდეს. ასეა, თუ ისე, ქართველთ მშრომელი მასები, რა რჯულისაც არ უნდა იყვნენ, საბჭოთა ხელისუფლებამ უნდა გაათვითცნობიეროს აუხილოს გონების თვალი, რომელიც სარწმუნოებას დაუბრმავებია მისთვის, რისთვისაც მშრომის სკოლები და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებები შემოუღია. ვერც შეურიგდება, რომ ვინმემ სარწმუნოების სახელით რაიმე საფრთხე გაუჩინოს მის დაწყებულობას. მაგალითად ქართველმა ისრაელებმა სკოლა რომ გახსნან მხოლოდ თავიანთ შვილებისთვის, მაშინაც სოციალისტური კულტურის ინტერესი მოითხოვს, რომ სწავლა საერთო პროგრამით და გასაგებ ენით წარმოებდეს, მაგრამ ებრაული ენის სწავლა რომ შესაძლებელი იქნება მაშინაც, რომ ისრაელი მოსწავლენი სხვა მოსწავლეებთან ერთად ისხდნენ სკოლაში და ყველანი ერთნაირად სოციალისტური კულტურით იწვრთნებოდნენ, ამისათვის საკმაო იქნება, თუ ისრაელთ ბავშვების რიცხვი კლასში ცხრას აღემატება, მაშინ შემოღებულ იქნება მათთვის მხოლოდ ებრაული ენის სწავლება. საღმრთო სჯულის სწავლებას კი სოციალიზმი ვერ ეგუება. ვერ წარმოგვიდგენია სხვაფრივ ისრაელი ავტონომისტების მოთხოვნილება ამ შრომის სუფევის დროს, როცა ყოველ მშრომელს მიწის მუშას და წარმოების მუშას, რჯულის განურჩევლად, ეკუთვნის ხელისუფლება, მისგან გამოდის სავსება ხელმწიფებისა.

ეგებ ხახმების და მითი მორჩილთ ბურჟუების ინტერესის დაცვა განუზრახავთ ისრაელ ავტონომისტებს. ესეც უნდა ითქვას. მაგრამ ზრუნვას მათ საცხონებლად, ვინც ცხოვრებას წაუწყმედია, თავს ვერ იდებს ჭეშმარიტი სოციალისტი.

პეტრე მირიანაშვილი.

*) სადისკუსიოა.

# იუბილეს შესახებ
(ჩემი პასუხი).

„ტრიბუნის" ერთ-ერთი თანამშრომელი, ვინმე „ევროპიელი სხვათა შორის, ჩემი იუბილეს შესახებ აყენებს საკითხს (№ 566).

ამ უკანასკნელ ხანებში მეგობრებმა და ნაცნობებმა რამდენჯერმე კერძოთ მომმართეს—და მოლოს, ამ სამი თვის წინათ, მასწავლებელთა წრიდან დეპუტაციაც მოვიდა ჩემთან და გამომიცხადა, რომ განზრახული აქვთ თქვენი მოღვაწეობის პატივსაცემათ იუბილე მოეწყოს და ნება დაგვრთეთო. დეპუტაციასაც და მის მომვლინებელთაც მე მადლობა შევსწირე—და იუბილეს შესახებ გადაჭრილი უარი მოვახსენე.

რაკი იგივე საკითხი დღეს პრესაში წამოიჭრა თუ ნებას მომცემთ, თქვენი გაზეთის საშუალებით ჩემს დასაბუთებულ აზრს ბარემ საჯაროთ გამოვსთქვამ.

საერთოდ მწერალთა და მოღვაწეთა პატივისცემის ის სახე, ის ფორმა, რომელსაც იუბილე ეწოდება და რომელიც დღეს ჩვენში ასე მოხშირდა, მე დიდი ხანია არ მომწონს, ვინაიდან ამ ფორმაში გულწრფელობა, გულითადი სიმართლე ვერ თავსდება: საიუბილეო სიტყვები და ადრესები ყოველთვის მარტო ხოტბებით, მარტო ქება-დიდებით სავსე—და ისიც ერთი—ორათ და მეტათაც გაზვიადებულით. ამგვარი შეფასება არ შეიძლება იყოს ნადვილ წრფელი აზრისა და გრძნობისა: ნაკლულევანებაზე კრინტიც არ იძვრის, ხოლო ღირსება გაზვიადებული სახით იხსენიება,—მაშასადამე, ეს ცრუ ქება, პირმოთნეობაა, და არა ღირსეული ფასება ადამიანისა.

ამასთანავე კიდევ—ერთგვარი კეთილმოყვანის[illegible]

# უწინდელი და აწინდელი
(წარსული და აწმყოს სურათები).

II

წინად

(გაგრძელება)

მიდიოდა დრო. კნეინა ბაბალე კვლავ ფუფუნებაში და განცხრომაში ატარებდა ამ დროს. მაგრამ თან და თან საფანელი აკლდებოდა. დიდ ხანს არ ეყო ის, რაც ულმობელმა რეაქციამ გლეხებს დააძრო მის გულისათვის. მამულის მოვლისათვის, ბაბალე თავს მაინც იმდენად არ იტკიებდა. ხარჯები კი თან და თან იზრდებოდა და გასაკვირი არ არის, რომ ერთ მშვენიერ დღეს ბაბალემ ქონებრივის მხრით საგრძნობი შევიწროება იგრძნო. დაგირავებულ მამულის შემოსავლის მეტი წილი სარგებლის გასტუმრებაში მიდიოდა, ბაბალე თავის ჩვეულებრივ ცხოვრებას ვერ შესცვლიდა და ახალი შემოსავლის წყარო კი არსაიდანა სჩანდა. ზედ დაერთო კიდევ გართულება მარიკოს მხრით.

ერთ დღეს დილით ჩვეულებისამებრ მარიკო კოკით აკიდებული ადრიანად წყაროზე მიეშურებოდა. ახალი გათენებული იყო, სოფელი ილვიძებდა და წყაროზე ჯერ არავინ სჩანდა. მარიკო მივიდა წყაროსთან, აავსო კოკა, წამოიკიდა და გამოსწია შინისკენ. არ გადაუდგამს ორი ნაბიჯი და უცებ დ ბუჩქებიდან გადმოხტა მხარ-ბეჭიანი მოხდენილი ჭაბუკი, გადაეღობა მარიკოს. შეკრთა, აკანკალდა მარიკო, მაგრამ ჭაბუკი უმალ იცნო. ის იყო მათ მეზობლად მცხოვრები სანდრო ბესუაშვილი. არა ერთხელ შეემჩნია მარიკოს სანდროს თვალი თავისზე გაჩერებული, გრძნობდა მარიკო რომ ჭაბუკს მოსწონდა. მართალია სანდროს ხმა-კრინტი არასოდეს არ გაუცია მარიკოსათვის, არც როდისმე მაჰანკალი მიუგზავნია, მაგრამ... გრძნობდა მარიკო და მუდამ მის დანახვაზე თვითონ გოგოსაც აუტოკდებოდა ხოლმე გული, აენთებოდა სახე... ხშირად სამზარეულოში მუშაობის დროს, გახურებულ ბუხართან, მარიკო უცბად შეჩერდებოდა, ჩაფიქრდებოდა, თვალწინ წარმოუდგებოდა სანდრო... ოცნება!..

განა მარიკოს შეეძლო ამაზე ოცნებაც კი? ობოლ მოახლეს, უსახლკაროს, სამადლოდ აღზრდილს?.. მარიკო და სანდრო! ეს ხომ ყოვლად შეუძლებელი იყო. სანდრო შეძლებული ოჯახის შვილი, განთქმული მთელ სოფელში მუშა და ვაჟკაცი. მართალია ახალგაზრდაა, მარტო ხელი, ზურგზე მოხუცი დედა და პატარა და-ძმანი ჰკიდია, მაგრამ განსვენებულმა მამამ კარგი სარჩო-საბადებელი დატოვა, მრავალი საქონელი, კარგი მამული, კარგი მოწყობილი ოჯახი და სანდრომ თუ არ შემატა, არაფერი დააკლო რა. ოცი წლის ჭაბუკია სანდრო, მაგრამ სოფლის მუშაობაში, გამჭრიახობაში და უნარიანობაში მთელს სოფელში სწორი არა ჰყავს.. ყველაზე მეტი ნახნავ-ნათესი, დროზე მოვლილი, მშვენივრად შეკეთებული ვენახი, ერთი სიტყვით სანდროს ოჯახი ამ მხრით პირდაპირ სამაგალითო იყო და აბა წარმოიდგინეთ ასეთ ვაჟკაცზე უბედურ მარიკოს ოცნება კი შეეძლო?.. მაგრამ გული და გრძნობა ამას არ დასდევს, მაინც სადღაც გულის სიღრმეში ბჟუტავდა იმედი...

შიშისგან მარიკოს მუხლები ჩაეკეცა... სიტყვა ყელში გაუშრა... დაუშვა კოკა, ჩაღუნა თავი, ადგილიდან ვერ დაძრულიყო.

„აჰა, ხანჯალი, გინდა მომკალ გინდა მაცოცხლე!.. აღარ შემიძლიან... მოსვენება არა მაქვს, ძილი დავკარგე, თვალი აღარ მიჭრის, მკლავი ველარ მოძრაობს"... ხმის კანკალით ემუდარება სანდრო: „ან ჩემი უნდა იყო, ან თავს მოვიკლავ"!..

მარიკო ოდნავ გამოერკვია, თან ეშინოდა და თან უხაროდა, ასწია კოკა, გადადგა ნაბიჯი, მაგრამ კვლავ გადაეღობა სანდრო...

„რას შვრები, არა გრცხვენიან... შენც სხვასა ჰგავხარ.. არ მოველოდი შენგან", წაილუღლუღა მარიკომ და კვლავ შეეცადა გაშორებას, მაგრამ თითქოს რაღაც იდუმალი ძალა ფეხებს უბორკავდა და თან ყურში ჩასჩურჩულებდა: „მოიცა, მოიცა... იქნებ მართლა"!..

— „გეუბნები, ქალო, აღარ შემიძლიან. ვეღარ მოვითმენ... ან მომკალ, ან მაცოცხლე!.. ცოლად უნდა გამომყვე", უცბად წამოიძახა სანდრომ...

შემდეგში როგორ მოხდა, რომ ჭაბუკის მკლავები მარიკოს მოეხვია და სანდრომ მარიკო მაგრად გულში ჩაიკრა, მარიკომ თვითონ არ იცის... ახსოვს მარტო უაღრესი ნეტარება და ბედნიერება, ახსოვს რომ მთლად დაბნეულმა და ათრთოლებულმა სიტყვა მისცა სანდროს, კიდევ ახსოვს, რომ ტუჩი ტუჩს მაგრად ჩაეკონა და მარიკომ მხოლოდ ის ღა მოახერხა, რომ ჩურჩულით შეეხვეწა სანდროს: „შენი ჭირიმე, არ დამღუპო, ნამუსი არ ამხადოო", და ბოლოს ველარ გაუძლო ანთებულ სხეულს, შეშინდა და უცბად გაუსხლტა ხელიდან სანდროს და გამოეშურა შინისაკენ...

საღამოს კნეინა ბაბალე აივანზე ჩაის მიირთმევდა, რომ უცბად მოულოდნელი სტუმარი ესტუმრა. ჭიშკარი გაიღო და ბაბალეს წინაშე ქუდ-მოგლეჯილი სანდრო წარმოსდგა.

„საღამო მშვიდობისა, ქალბატონო!"...

—„მშვიდობა მოგცეს!.. რაზე გასულხარ?" შეეკითხა ბაბალე. „დიდი საქმე მაქვს შენთან ქალბატონო!.. და ჩემი საცოცხლე ახლა შენს ხელშია"....

—„მაინც, ისეთი რა საქმეა?.. ან მე, რა შუაშივარ?"...

„შენი ჭირიმე, ქალბატონო, ე გოგო უნდა მომათხოვო... მიმსახურე როგორც გენებოს... შეშა, ფიჩხი, ნახშირი დაგჭირდება... საშუშაო იქნება რამე... ყველა ჩემს კისერზე იყოს... ოღონდ კი გამაბედნიერე"..... შეეხვეწა სანდრო...

—„ბიჭო, ეგრე უცბად, მოულოდნელად მამახალე... აბა რა ვიცი... გოგო მომზადებული არ არის, მზითევი უნდა, შიშველ ტიტველს ხომ ვერ გავისტუმრებ სახლიდან"....

„არ მინდა არაფერი შენი ჭირიმე, ოღონდ შენ დალოცე და ნება დართე, მზითევსაც მოუმზადებ და ყველაფერს"....

შენი ჭირიმე, ქალბატონო, გამაბედნიერე... უშენოდ გოგო არ იზამს და მეც შენ დაუკითხავად ვერ გავბედავდი... ოღონდა დასთანხმდი და როგორც გენებოს მიმსახურე... ე შენი მიწებია და მე გადავახნამ... მეოთხედს გაძლევენ, მე მესამედს მოგართმევ, ვენახშიაც დაგეხმარები, ერთი სიტყვით მონა მორჩილი ვიქნები შენი....

ბაბალე კარგად გრძნობდა რომ პირობები მეტად ხელსაყრელი იყო, იცნობდა, რასაც იტყოდა—აასრულებდა, მაგრამ ისიც კარგად ესმოდა ბაბალეს, რომ უმარიკოდ ფეხს ვერ გაანძრევდა. მაგრამ გადაჭრით უარის თქმაც შეუძლებელი იყო, ან და მაინც რა უფლებით?.. მარიკო ისეთ ასაკში იყო, რომ მას ამ შემთხვევაში ვისიმე ნებართვა ან დასტური არ დასჭირდებოდა, არც თუ სანდრო იყო ისეთი ადამიანი, რომ თუ კი მოინდომებდა თავისას არ გაიტანდა. საჭირო იყო მოფიქრება და საქმის ისე წაყვანა, რომ არც მწვადი და არც შამფური დამწვარიყო.

„კარგი, ჩემო სანდრო," დაუწყო კნეინამ: „მეტად მოულოდნელი" იყო ჩემთვის, მოვიფიქრებ, გოგოსაც მოველაპარაკები.... ცოტა დრო მაინც დამჭირდება: გოგო მოვამზადო, ან შეუკერამ რამეს, ან უყიდი"...

—„მაგ მხრით შენიჭირიმე ნუ შესწუხდები.. მოგახსენებ არაფერი არ მინდა, შენ კარგად იყავი და ყველაფერს მე თავად მოვაწყობ"....

„ეგ შენი საქმეა, მაგრამ მე მაინც ჩემი მოვალეობა უნდა გადავიხადო, მიუგო კნეინამ: „ხვალ დილით გადმოიარე, მეც უნდა მოვიფიქრო, პასუხს მაშინ მოგცემ", გაუთავა ბაბალემ...

ბაბალემ მოიფიქრა და ბოლოს დაბოლოს შეთანხმდნენ: სანდრო ერთ წელიწადს მოიცდიდა. სანდრო ბევრი ეხვეწა, ემუდარა: „შენი ჭირიმე ქალბატონო, მერმის კენჭში ვარ, ვაი თუ თავი მოკრან ჯარში და ასე დავრჩებიო"... მაგრამ ბაბალემ დაარწმუნა, მოვახერხებ ისე, რომ ჯარში არ გაგიყვანენო, სრულებით განთავისუფლებო... ერთი სიტყვით დაიყოლია სანდრო. უკანასკნელი მხოლოდ ვალდებული იყო წლის განმავლობაში შეშა, ფიჩხი, ნახშირი და სხვა ამგვარი ეზიდნა ბაბალესათვის, მიწებიც მას გადასცა სამესამედოთ ბაბალემ...

ასე რომ ამ მხრით ბაბალე დიდს გამორჩენაში დარჩა. მარიკო სიხარულით ცასა სწვდებოდა, უმატა უფრო მუშაობას და აღარ იცოდა როთი ესიამოვნებინა ბაბალე. პირველ ხნობით ბაბალემაც თითქოს ცოტა ლმობიერება გამოიჩინა დანიშნულის მიმართ, მაგრამ მალე ველარ შესძლო და კვლავ მარიკო წინანდელ მოგომარეობაში ჩავარდა მაგრამ მარიკო არაფერს ყურადღებას არ აქცევდა, დიდ ერთ წელიწადს რაც უნდა დამემართოს, ავიტანო და მერე?.. მარიკოს თვალწინ იშლებოდა უსაზღვრო ბედნიერება.....

განვლო წელიწადმა, შემოდგომა იყო, ახლოვდებოდა კენჭის ყრის დროც. ველარ მოითმინა სანდრომ და გადაჭრით გამოუცხადა ბაბალეს: ჯვარი უნდა დავიწეროო. ბაბალეც ველარას გახდა. დაიწერა ჯვარი სანდრომ, წაიყვანა მარიკო თავისას ფ ვიდრე ბაბალე ახალ მოახლეს იშოვიდა, მიჰგვარა პატარა თავისი და მოსამსახურედ... დიდს ღ[illegible]რებას და სამსახურს უწევდა სანდრო ბაბალეს, არ ფერს აკლებდა და თვალებში შესცქეროდა: „ოღ კი სალდათობას გადამარჩინე, შენი ჭირიმე ქალბატონო, და მთელი ჩემი სიცოცხლე შენ გემსახურები". ბაბალეც ჰპირდებოდა, ერთხელ ორჯელ ქალაქშიაც ჩავიდა ვითომ ამ საქმისათვის და დაიმშვიდა მუნა სანდრო, საქმე გაჩარხულიაო.

მაგრამ სანდრო კენჭში მოხვდა და ვე[illegible] ვერაფერი უშველა, უკრეს თავი შორს რუს[illegible] სამსახურისათვის. ნამდვილად ბაბალეს ამ საქმისათვის თითიც არ გაუნძრევია, დარწმუნებული რომ სანდრო თუ ჯარში გაიწვიეს, მარიკო და[illegible]ნდებოდა... ასეც მოხდა.

არ გასულა ერთი თვე სანდროს წასვლის შემდეგ, რომ მაღლობიანის მამასახლის მოწერილი მოუვიდა ვიღაც სამხედრო უფროსისაგან; ატყობინებდა: ახლად გაწვეული ჯარში თქვენებური სანდრო ბესაშვილი გზაში სახადით ავად გახდა[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობის ხასიათი აქვს იმას, რომ იუბილიარი სცენაზე ხატივით უნდა დაესვენოს და იმზირ-ისმინოს ისდამი თაყვანისცემა ორატორებისა და დამსწრე საზოგადოებისა, მგზავსათ მლოცველებისა კერპებისა თუ ხატების წინაშე.

ამგვარ ცერემონიალს ჩემი გრძნობა ვერ შეეგუებია—და მე პრინციპიალურათა ვარ იუბილეს წინააღმდეგი. ხოლო როცა დღევანდელმა იუბილეებმა **გასტროლების** ხასიათი მიიღო და იუბილიარებს სოფლით—სოფლათ და ქალაქით—ქალაქათ ატარებენ ხოლმე და გაგონას ინტერესით იმსჭვალებიან,—იუბილესადმი ჩემი პრინციპიალური წინააღმდეგობა მისდამი თითქმის სიძულვილათაც გადაიქცა.

იუბილიარისათვის იუბილე ხშირათ ბევრგვარი უსიამოვნების წყაროთაც ხდება ხოლმე. სანამ იუბილიარი ჩუმათ და სათნოთ მწერლობს თუ მოღვაწეობს, მისი ლიტარატურული თუ სოციალური მტერნიც, ასე—თუ—ისე, ჩუმათ არიან; ხოლო როცა იუბილეს დროს მოყვარენი მის ღირსებებზე ყვირილს იწყებენ, მტერნიც-თუ პრესით ვერა, სიტყვიერათ მაინც-ნაკლულევანებებზე განგაშს მორთვენ და ჩვეულებრივ გესლს არაჩვეულებრივათ ანთხევენ. მოყვარეთა შორისაც კი, ღირსებათა უკიდურესი გაზვიადების გამო, ხშირათ გულგრილობა და დამცინავი ღიმილიც მოისმის. ასეთია ფსიხოლოგიური თვისება და ზედმოქმედება გადაჭარბებული ქებისა გინა კიცხვისა: უკულმა პროპორციული გავლენა ხდება, ასე რომ პირველ შემთხვევაში თანაგრძნობა ნელდება, ხოლო მეორეში—მტრული განწყობილება კლებულობს...

გარდა პრინციპიალური წინააღმდეგობისა; მე დღევანდელ მომენტსაც ვერ ვივიწყებ—და შეუფერებლად მიმაჩნია ზარითა და ზეიმით დღესასწაულების გამართვა იმ დროს, როცა მსოფლიო რევოლიუციით ცხოვრების ჩარხი მოშლილია და მთელი ყურადღება და ენერგია საკეთილდღეო აღმშენებლობისაკენ უნდა იყოს მიმართული;—არ ეგების ზეიმი და ლხინი იმ დროს, როცა გარშემო პატიოსანი მშრომელი მოქალაქენი რევოლიუციის ტალღებში სულს ლაფავენ და ოფლათ და ცრემლებათ ილვრებიან...

ზევით აღნიშნული მიზეზები საკმარისია, რომ ჩემი იუბილეს ინიციატორთ გადაჭრილი უარი მოვახსენო; ხოლო გახსენებისათვის ვულითად მადლობას ვსწირავ. ჩემისთანა და ჩემზედ უფრო ღირსეული მწერალი და მოღვაწე ჩვენში საკმაოთაა—იმისთანები, რომელნიც იუბილეზე ჩემს შეხედულებას არ იზიარებენ, და უფრო საფუძვლიანი იქნება ამგვარი პატივისცემა იმ პირებისადმი გამოხატონ, ვისაც იგი სასიამოვნოთ მიაჩნია.

რაც შეეხება ჩემს პატივისცემასა და სიამოვნებას, თუ ვისმე ჩემთვის ამგვარი რამ გულწრფელად სწადია, დიდათ დამავალებს, თუ ხელს შემიწყობს იმაში, რასაც დღეს ჩემთვის უდიდესი ფასი აქვს. ეგ არის ჩემი ნაწერების სრული გამოცემა. თუმცა პატივცემული „ევროპიელი“ ჩემი ნაწერების შესახებ არაფერს ამბობს, მაგრამ არა ვგონებ იგი მათ განგებ ივიწყებდის და მათს მნიშვნელობას სრულიად უარყოფდეს. თუმცა მე სხვა ასპარეზზედაც ვმუშაობდი, მაგრამ, თუ ჩემს წარსულს რაიმე მნიშვნელობა კი აქვს, ჩემი აზრით, იგი რუსის ჩინოვნიკთან—კორიცქისთან ბრძოლით არ ამოიწურება. მე უმთავრესათ კალმის მოსამსახურე ვიყავ—და ცოტა არა მაქვს ნაწერი და ნაბეჭდი სხვა და სხვა დარგის ნაწარმოებისა. მართალია, დღემდი ჩემი ნაწერებისადმი **კრიტიკული კიცხვა** მრავალი გამოითქვა, ხოლო კრიტიკული შეფასება და მოწონება—ძალიან მცირე; მაგრამ, სანამ ჭეშმარიტი კრიტიკოსი არ გამოვგვჩენია და სანამ ძველისა და ახალის ქართული ლიტერატურის სამართლიანი საბოლოო შეფასება არ მომხდარა, მანამდი მეც ნება უნდა მქონდეს ვიფიქრო, რომ „თრანების“, „ბელტების“ და მზგავსი კრიტიკანების მიერ ჩემი ნაწერების დაგმობა ნაყოფი იყო მხოლოდ მათი უსამართლო გამოლაშქრებისა, ბრაზიანობისა და არა ადამიანური სულისკვეთებისა..

და, აი, ამ სიბერის დროს, როცა ავათმყოფობაც მომერია და ყოველ წამს მოსალოდნელია ჩემი სიცოცხლე გათავდეს,—ძლიერი სურვილი მაქვს ჩემი ნაწერების სრული, გამოცემა ვიხილო **ჩემი ხაკუთარი რედაქციით,** რასაც მე დიდ მნიშვნელობას ვაძლევ.

ნაწერებით საზოგადოების წინაშე წარდგომა იუბილეს დროს წარდგომას არა გავს: აქ მწერლის ღირსებასაცა და ნაკლულევანებაც გარეთ გამოდის, საზოგადოებაში ეფინება—და მკითხველს შეუძლია ერთიცა და მეორეც თავისუფლად შეაფასოს; იქ კი მხოლოდ მეტიჩრული გამოსვლა, ცალმხრივი—და ისიც კიდევ გაათკეცებული—შეფასებაა მწერალმოღვაწისა. დღევანდელ იუბილეებს, მათი გაზვიადებულობისა და უმართლო გაბერილობის გამო, აღმზრდელობითი მნიშვნელობა, სიკეთისადმი წაქეზების მიზანი ეკარგება; ხოლო ნაწერების გამოფენა და გავრცელება, თუნდ შიგ უარყოფითი მხარეებიც იყოს, ცოტაოდენ სარგებლობას მაინც მოიტანს.

აი რატომ ვერიდები მე იუბილეს და მეგობარ-ნაცნობთა პირიქით თხოვნას უარვყოფ, და რატომ არ ვერიდები და არცა მრცხვენია პირიქით ვსთხოვო ყველას, ვისაც ჩემი სიამოვნება და პატივისცემა სწადია, შესაძლებელი დახმარება აღმომიჩინონ, რომ სიცოცხლეში ვეღირსო ჩემი ნაწერების ჩემს გემოვნებაზე გამოცემას.

დასასრულ, საჭიროდ ვსთვლი შევასწორო რუსული ტექსტი რუდოლფისადმი ჩემ მიერ მიწერილი ბარათისა (და არა დეპეშისა), რომელიც პატივცემულ ევროპიელს მოყავს. მე მისწერე (1917 წ. 10 მარტს, ძვ. სტ.)

Тифлисъ. Учебный округъ. Попечителю Рудольфу.—Милостивый государь! Вопреки вашему желанію, я возстановленъ въ своей должности. Вы домоглись моего униженія передъ вашимъ позорнимъ Чиновникомъ, бывшимъ депутатомъ Корицкимъ. Подобный вамъ судья не достоинъ руководить святымъ дѣломъ образованія Унижавшій честныхъ служителей народа, надѣюсь, самъ будетъ униженъ и наказанъ.

Да здравстуетъ новое честное правитесьтво!

Силованъ Хундадзе.

—

ხსენებული ინციდენტის გამო კორიცქისა და რუდოლფთან ბრძოლის ისტორია საგულისხმოა: აქ გამოაშკარავდა არა მარტო მაშინდელი მთავრობის წარმომადგენელთა ჩვენდამი ბოროტგანზრახულება, არამედ სიყალბეც თვით ჩვენი საზოგადოების ზოგიერთი წარმომდგენლისა, რომელნიც თითქო ჩვენი ქვეყნის ინტერესებს იცავდენ, ნამდვილათ კი მელაკუდობდენ და ფარისევლობდენ... მაგრამ დღეს ამაზე არ არის ლაპარაკი—და სხვა დროისთვის იყოს. ქუთაისი, 1923 წლის 14 სექტემბერს.

**სილოვან თომას-ძე ხუნდაძე.**

---

# სამეცნიერო ექსპედიცია მყინვარზე

## (დღიური—მოკლე მიმოხილვა)

(დასასრული)

3. IX. დილის 5 ნახ. საათზე გარდა ტოპოგრაფობისა, რომელნიც მუშაობას აწარმოებდენ მწყრობის მთაზე ჩათას ხევის ზემოდ, დანარჩენები პროფ. დიდებულიძის მეთაურობით სათანადო მოწყობილობით გავემგზავრეთ მყინვართწვერზე ასასვლელად. „ქოხ მაღალზე“ ვიყავით ერთ საათში, მოვხსენით იქ დატოვებული ხელსაწყოება, ცოტა შოკოლადი შევჭამეთ და გავსწიეთ მეორე ოლგიშკაზე, რომელსაც უწოდეთ „მყინვართ გუშაგნი“, ვინაიდან ორი კლდეზედ დაჰყურებს დევდარაკის მყინვარს. ცოტა დავისვენეთ და გავედით მესამე ოლგიშკაზე, მეტად საშიში ადგილია, რომელსაც რუს მოგზაურებმა უწოდეს სახელად „პრონესი გოსპოდი“ (გამატარე უფალო), ჩვენ კი შევუცვალეთ ეს სახელი და დავარქვით „ბუნების რისხვა“. აღნიშნულ კლდიდან გამუდმებით მოდის ზვავი, ხან თოვლი ჩამოწყდება, ხან თვით კლდის ნატეხი; მასთანვე იქ არის ნაპრალები, რამოდენიმე ათეულ საჟენის სიღრმის, ასევე მარცხნით, აგრეთვე დევდარაკის დასაწყისი თავის უზარმაზარ ნაპრალებით. თოვლი თანდათან უფრო დიდია; უკვე ერთ არშინს უდრის. ავდივართ ეგრედ წოდებულ ფირნის ველებზე; ეს გახლავსთ თოვლ-ყინულიანი ტრიალი ადგილი, ველი, რომელზეც არის მყინვართწვერის წოწის ძირი; აქედან იწყება ნამდვილი ასვლა მყინვარზე.

თოვლ-ყინულიან ველზე დაიდგა სათანადო ხელსაწყოები და იქვე დარჩა პროფ. ა. დიდებულიძე სამუშაოდ.

10 ს. 10 წ. შეუდექით წოწის ძირიდან მყინვართწვერზე ასვლას. თოვლი არშინნახევარია სიღრმე. ეს ახალი თოვლია ორი დღის წინად დათოვლილი, რომელმაც სავსებით დაჭფარა და მოსპო სპარტაკელთა ნაკვალავი. ძალიან ძნელი გასაკვალავი იყო თოვლი. მასთანვე ზევით სვლა, ჰაერწნევით დაწევა.

გაძნელებული სუნთქვა. ზოგიერთნი შეგვიპყრნო მთის სნეულებამ თავის ბრუალით, ქოშინით, თითქმის გრძნობის დაკარგვამდე. მაგრამ მყინვართ წვერზე ასვლის უჭველობამ ვერ მოგვტეხა და ნელნელა განვაგრძობდით გზას.

ვისვენებდით თავიდანვე 200 ნაბიჯზე, რაც თანდათანობით 5 ნაბიჯზე ჩამოვიდა. გამყოლს გახა წიკლაურს მარდად მისდევენ სტუდენტი მოხევე ანდრია თოფაძე და ობსერვატორიის დამკვირვებელი ალექსანდრა ჯაფარიძის ქალი.

43 შესვენების შემდეგ, შვეულ ყინულზე გადასვლისას, სადაც გაიჭრა ექვსასი ნაკიბური, ფეხებზე გაკეთებულ წრიაპების (წვეტიანი რკინები) საშვალებით საშინელ, ძლიერ საშიშარი ადგილებით დევდარაკის მყინვარის ნაპრალებიან უფსკრულის ზემოთ მთის წვეტიან [illegible] შემაგრებულნი და გოგს [illegible] და ვალერიანის წვეთებით, 2 ს. 45 წ. ნაშუადღევისას ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის [illegible] მყინვართ წვერზე და გა[illegible] ერთი მეორეს ულოცავთ და ვკოცნით.

ავაფრიალეთ დროშა. დავდგით ხელსაწყოები. გადავედით მეორე წვერზე, შემდეგ ისევ პირველ აღალ წვერზე. შემდეგ გადავედით წინ სწორ ადგილზე, სადაც სდგას მეტეოროლოგიური ბუდრუგანა და საიდანაც გადასახედია სტეფანწმინდაზე. თბიერება მიუხედავათ დიდებულ ამინდისა უდრის 5 გრადუსს ყინვას. ირგვლივ დიდებული სანახაობა: ხევსურეთი, დაღისტანი, ტფილისი, სვანეთ-იმერეთის მთები, იალბუზი, ძაუგი, ჩრდილოეთ კავკასია, საჩაჩნო და მრავალი სხვა. ვრჩებით მყინვართ წვერზე 1 ს. 33 წ—ს. სიმაღლე უდრის 5046 მეტრს (16.546 ფუტს).

4 ს. 18 წ. დავეშვით სისწრაფით, რადგან შესაძლებელი იყო დაგვლამებოდა.

თოვლ ყინულიან ველზე ჩამოსვლისას ძლიერ დაქანცულობიდან დავეცით თოვლში და ვისვენებდით. სულ ვიყავით წვერზე შვიდი კაცი: გამყოლი გახა წიკლაური, მოხევე ბარგის წამღები ტარასა ზაგაშვილი, ექსპედიციის წევრები: სტუდენტი მოხევე ანდრია თოფაძე, ჯაფარიძის ქალი ალექსანდრა, ვალენტინ თულაშვილი, არნოლდ ვეისი და მე.

სრული შვიდი საათი იყო, როდესაც მოვედით ქოხში „შევარდნის ბუდეზე“, სადაც ჩვენი წევრები დიდის აღფრთოვანებით შეგვხვდენ.

5 სექტემბერი. მუშაობა სწარმოებდა მყინვართ წვერის წოწის ძირში თოვლყინულიან ველზე, სადაც იდგა თვით მაწერი ხელსაწყობი. იქვე მუშაობდა აქცინომეტრიაზე ერეკლე ბენაშვილი. „მყინვარი გუშაგნი“-ს „ბუნების რისხვა“-ს მიდამოებში მუშაობდენ ტოპოგრაფები.

6 სექტემბერი. დილით გათენებას თოვლყინულიან ველზე, სადაც თბიერება უდრიდა თერთმეტ გრადუს ყინვას, რადგან იქ უკვე ვითარდებოდა ქარბუქი, ანდრია თოფაძემ ჩამოიტანა ხელსაწყოები. სრულ 11 საათზე გამოვეთხოვეთ „შევარდნის ბუდეს“, მყინვართ წვერს და დავეშვით ხრებით დევდარაკის მყინვარით „დიდებულიძის ნაბინავარზე“.

ცხვარის ჩამოსვლა მთიდან გასაკრეჭათ. ვსვით თხის მშვენიერი რძე.

7 სექტემბერი. დევდარაკის მყინვარიდან სტეფანწმინდაში ჩამოსვლა.

8 სექტემბერი. მოხევეთა ორთვალებით, რომელშიც ცხენია გაბმული და მოხევენი ურემს ეძახიან, გავემგზავრეთ ძაუგში. დარიალის ხეობის სილამაზით დატკბობა. თამარ მეფის ციხის ნანგრევები. საქართველოს საზღვრებიდან გასვლა საჩაჩნოში ქისტებში.

9 სექტემბერი. ძაუგში ყოფნა. ადგილობრივ ქართველთა შეხვედრა. გულუხვი მასპინძლობა. ქართული თეატრი და სკოლა. ხალხის აღფრთოვანება.

11 სექტემბერი. ძაუგიდან გამოსვლა. ჯარიახის ხეობასთან ჩვენს წინ მიმავალ მავალაზე ქისტების დაცემა. მგზავრების გაცარცვა. ჩვენი მშვიდობიანად გამოსვლა. სტეფანწმინდაში გამოვლა. ჯვარის უღელტეხილზე გადმოსვლა და შემოღამება. გამოსვლა ფასანაურში ღამის 11 საათზე.

12 სექტემბერი. კვლავ ტფილისში ნაშუადღევის 3 ნახ. საათზე.

**ხოხო ასლანიშვილი.**

---

გარდაიცვალაო, წინადადებას აძლევდა მამასახლის აუწყე ამის შესახებ მის მახლობლებსაო.......

კვლავ დაობლდა ბედშავი მარიკო და მეტი რა გზა იყო დაუბრუნდა ბაბილეს......

გაქვავდა მარიკოს გული, თითქოს მეტის ატანა აღარ შეეძლო, მაგრამ იცოდა რომ ბუნების დიდი აქტის წინაშე იდგა, ფეხთმძიმედ იყო იგი, და მხოლოდ ესლა ასულდგმულებდა, მხოლოდ ამით ლა ცოცხლობდა, თორემ განა ის არა გაჰყვებოდა თავის სულსა და გულს სანდროს?..

ფეხთმძიმედაა მარიკო და მუშაობას არ აკლებს, იცის აგრეთვე ეს ამბავი ბაბალემ, მაგრამ ოდნავადაც არ ფიქრობს მარიკოს მძიმე ტვირთის შემსუბუქებას. პირიქით ეს ახალი საბაბი გაუჩნდა მუდმივი საყვედურისთვის.

„შენმა თავის გახეთქამ ეგლა მაკლდა... ჩემი სახლი სამშობიარედ უნდა გადაიქცეს... დაგწყევლათ ღმერთმა, გლეხაჭუებო, ისე ქმარი ვერ მოგეკარებათ, რომ უმალ...“ მაგრამ რას იზამდა. მარიკო ქმრის ოჯახში ვერ წავიდოდა, ბედშავებს თვითონ მეტად უჭირდათ. სანდროს შემდეგ დედა მისი მწუხარებისაგან დამბლად დაეცა, მთელი ოჯახი პატარა ძმის, 18 წლის ყმაწვილის ანაბარა დარჩა... ბაბალე თვითონაც ვერ მოიშორებდა მარიკოს, მაგრამ მარიკოს მდგომარეობა მაინც მეტად აფიქრიანებდა.

„ან რა შავქვათ გინდა ე შვილი, დაუწყო ერთხელ მარიკოს... მე სწორედ გითხრა ჩემს სახლში ვერ დავაყენებ და თუ გააბარებ, აბა ერთი რით უნდა დაჰფარო მაგის ხარჯი?..“

— „ქალბატონო ე შენ შემოგევლოს ჩემი თავი... აბა რა წყალში ჩავარდე, ღვთისაგან მოცემულს ხომ არ გადავაგდებ... როგორ ულალატო იმ უბედურს ჩემ სანდროს“... და ატირდა მარიკო.

„შე უბედურო, შვილი რო გეყოლოს და ვერ მოუარო, ვერ შეინახო, უდროოდ მოგიკვდეს უარესი არ იქნება?..“ დაუწყო ბაბალემ: „ქმარი რომ არ დაგკარგოდა კიდევ ჰო, და ეხლა კი რა უნდა გახდე... ხომ იცი ჩემს სახლში ვერ დავაყენებ, ნერვები ისედაც მოშლილი მაქვს და ბავშვის ღრიალის თავი მე არა მაქვს... შე სულელო ათასწილ გირჩევნია...“ და აქ ბაბალემ ყურში რაღაც წასჩურჩულა... როგორც ელდა ნაკრავი წამოხტა მარიკო ერთთოდა კანკალებდა...

„უწინამ დღე დამელევა, ქალბატონო, თვალები დამიდგეს... მაგას, მაგას როგორ ვიზამ... საიქიოს რა პასუხი უნდა გავცე ჩემ სანდროს?.. არა, შენ შენაცვალე ქალბატონო, წყალში გადავარდები, თავს დავიღრჩობ და მაგას კი არ ვიზამ... არასოდეს!“

და ისე მტკიცე და გადაჭრილი ხმით წამოიძახა მარიკომ ეს სიტყვები, რომ ბაბალე მიხვდა ამაზე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა...

უკანასკნელ დღემდე მარიკო მუშაობაზე ხელს არ იღებდა, მძიმე კოკის ზიდვა, იატაკების მუდამ დღე რეცხა და წმენდა, სამზარეულოში ტრიალი, უძილობა...

მარიკო ხშირად ტკივილებსა გრძნობდა, წელი თითქოს მოწყვეტილი ჰქონდა, მეტად დამძიმდა, უჭირდა მუშაობა, მაგრამ... მაინც თავისას არ იშლიდა, თითქოს განგებ ბაბალემაც ჟინიანობას უმატა, მარიკოს წუთი მოსვენება არა ჰქონდა, ბაბალეს ყბა კი დილიდან შუაღამემდე არ ცხრებოდა.. დატუქსა, გინება, წყევლა, ყვირილი, ამას შეჩვეული მარიკო ყურადღებას არ აქცევდა, მხოლოდ მაშინ როდესაც გააფორებული კნეინა ან განსვენებულ სანდროს ან მომავალ ბედნიერებას მარიკოსას გინებით და წყევლით გაიხსენებდა, მხოლოდ მაშინ მარიკოს, მიხ და უნებლიედ თვალებში ცრემლი მოერეოდა, მაგრამ სიტყვას მაინც ვერ უბედავდა...

მოუახლოვდა მარიკოს განსაცდელის დღე. დილიდან საშინელი ტკივილი აუტყდა, ველარ დადიოდა მაინც ძალა დაატანა თავს, წასწვდა კოკას, იქნება წყალი მაინც როგორმე მოვიტანოო, მაგრამ წაბარბაცდა, უცბად თვალთ დაუბნელდა და დაეცა იატაკზე, მერე ძლივს ძლივობით მიბობღდა ლოგინთან და დაეშვა... წელი საშინლად სტკიოდა, თავბრუეხვეოდა... ტუჩებზე ხელი მაგრა მიიკრა, არ დავიკივლო, ქალბატონი არ გავაღვიძოო... ბაბალეს ჯერ კიდევ ეძინა. მარიკოს ტკივილობა ცოტა უკლო, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ უარესად აუტყდა, ველარ შეიმაგრა თავი მარიკომ და ერთი კი შეჰკივლა, მოჰყვა კვნესას... ჩაიდო პირში ხელი და მაგრად მოიჭირა კბილები, მაგრამ ტკივილებმიც უმატა, წელსა სტეხდა საშინლად, ხელ-ფეხი ეკლანჭებოდა, თავში თითქოს მძიმე ხვედსა სცემენ და ყურებში კი ისეთი ჟრიამული გააქვს, თითქოს მთელი ქვეყნის სამრეკლოები აახმაურესო... ველარ ითმენს ბედშავი მარიკო, კივილს კივილი მოსდევს...

„გოგო, მარიკო, რა დაგემართა, რაზე გამიხეთქე გული?..“ მოისმა ოთახიდან ბაბალეს უსიამოვნო ხმა.

მაგრამ მარიკოს სიტყვის თქმის არაქათი აღარა ჰქონდა იგი მთლად დაოსდა და ეხლა მხოლოდ კვნესოდა, კვნესოდა საზარი ხმით...

მეტი რა გზა იყო ბაბალემ გადაიცვა კაბა, უჩულქოდ ჩადგა ფეხი ფლოსტებში და გამობრძანდა სამზარეულოში, დახედა მარიკოს და უმალ მიხვდა რაში იყო საქმე...

„აკი ვამბობდი, ეგლა მაკლდა... ეხლა რა უნდა ვქნა?.. აბა შე უბედურო არ გერჩივნა ისე მოქცეულიყავ, როგორც გეუბნებოდი? ქალაქი მაინც იყვეს, სამშობიაროში გაგზავნიდი, აბა აქ რა უნდა ვქნა“?

ტკივილმა ცოტა უშვა, მარიკომ თვალები გაახილა, მხოლოდ ეხლა დაინახა ბაბალე...

„ქალბატონო, მაპატიე, რა ვქნა ვერ მოვითმინე... ნურაფერს შესწუხდები“...

მაგრამ ბაბალე უკვე გარედ გავიდა, გადასძახა მეზობელ დედაკაცს და სთხოვა „ბებია ნენეს“ დამიძახეო... ბებია ნენე ღრმად მოხუცებული, გადაყრუებული დედაბერი, მაღლობიანში ბებია ქალის თანამდებობას ასრულებდა. რამდენი მშობიარე და ახლად შობილი გაუსტუმრებია ნენეს საიქიოს ამას ვინ ჩამოსთვლის, მაგრამ მის მეტი არავინ იყო და მაღლობიანელებს მის იქიდ გზა არ ჰქონდათ.

არ ვიცი ბებია ნენეს ოსტატობას თუ აუტანელ მუშაობას და საშინელ პირობებს უნდა მიეწეროს, მხოლოდ მარიკომ საშინელ ტანჯვაში შვა მკვდარი და თითონაც ძლივს გადარჩა. ორი კვირა სიკვდილის პირს იყო. ალბად ჯანსაღ და ნორჩ აგებულობას უნდა მიეწეროს, რომ მარიკომ მაინც სძლია საშინელი ავადმყოფობა და სიკვდილს გადარჩა. მაგრამ ნახევარი ქალი ღა დარჩა. გამხდარი, გაყვითლებული, წელში მოტეხილი...

ბაბალე მეტად კმაყოფილი იყო ასეთი შედეგით და კიდეც ეუბნებოდა მარიკოს: „შე უბედურო, ღმერთმა შეგიბრალა, თორემ რას იზამდიო?!“

მარიკო მთლად გაქვავდა, აღარაფერი აინტერესებდა და თითქოს არაფერსაც გრძნობდა, მანქანასავით დატრიალებდა, უსიტყვოდ და უგულოდ აკეთებდა საქმეს. მუდამ თითქოს გამოშტერებული იყო, მის სახეს ღიმილი აღარ ეკარებოდა....

***

ბაბალეს უკვე ორჯელ მოუვიდა ბანკის განცხადება, თუ სარგებელი არ იქნა შემოტანილი მამული საჯარო ვაჭრობით გაიყიდებაო. დატრიალდა ბაბალე ფულისათვის, მაგრამ ვერსად იშოვა, სოფლის მევახშეებისა ისედაც ბევრი მართებდა, მამულის შემოსავალი უკვე შეჭმული იყო... დაღონდა ჩვენი კნეინა, აღარ იცის რა ქნას. სწორედ ამ დროს ეწვია მაღლობიანს ვინმე ქაფიძე, შეძლებული თავადი, ღვინით მოვაჭრე, მას ტფილისში ღვინის სარდაფი ჰქონდა გახსნილი და წელს ღვინის სასყიდლად მაღლობიანს ეწვია, გაეგო ყურძნის კარგი მოსავალია და ღვინო იაფი იქნებაო.

ქაფიძემ პირველ ყოვლისა ინახულა ბოქაული, დაუარა მაღლობიანის „მაღალ საზოგადოებას“ და რა თქმა უნდა განსაკუთრებული ყურადღება შავიძის ქვრივს მიაქცია. ქაფიძემ, შუახნის კაცმა, ოდნავ ჭალარა მორეულმა, წარმოსადეგმა, თავაზიანმა და ზრდილობიანმა, მეტად კარგი შთაბეჭდილება მოახდინა კნეინა ბაბალეზე. ქაფიძემ იმდენი ჯენტლემენობა გამოიჩინა, რომ ბაბალეს ღვინო, სხვებთან შედარებით მეტ ფასში შეისყიდა და ფულიც იმ თავითვე სრულიად ჩააბარა... ერთი სიტყვით მოკლე ხანში „კნეინა და „კნიაზი“ ერთმანეთს მეტად დაუახლოვდნენ და ქაფიძემაც ადვილად დააჯერა ბაბალე, რომ ასეთი ნაზი სათუთი არსებისათვის სადღაც მაღლობიანში, მაჯურღმულში ჩაკეტვა პირდაპირ დაუშვებელი ცოდვაა.

„კნეინა, ტფილისში, ტფილისში, თეატრი, კლუბი, ბალები, საღამოები, კონცერტები... აი თქვენი ასპარეზი!.“

არ ვიცი როგორ შეთანხმდნენ ბაბალე და ქაფიძე მხოლოდ უკანასკნელის წასვლის რამდენიმე დღის შემდეგ ბაბალეს წერილი მოუვიდა, სადაც ქაფიძე სხვათა შორის სწერდა: „სამი ოთახი თავის მოწყობილობით და „სოვსემი უდობსტვამი“, გ—ნის ქუჩაზე თქვენ გელით. მაცნობეთ დეპეშით თქვენი მოსვლის დღე და სადგურზე დაგიხვდებით“-ო...

ბაბალემაც აღარ დააყოვნა, აიბარგა და გაემგზავრა ქალაქისაკენ, მარიკოც რა თქმა უნდა თან გაიყოლია...

ბაბალე ტფილისში დასახლდა, მამული მოურავს ჩააბარა და თვითონ დიდი ქალაქის მხიარულ და მრავალფეროვან ფერხულში ჩაერია. თავად ქაფიძეს შემდეგ ვიღაც ბაქოელი მდიდარი მოვაჭრე თათარი მოჰყვა, დრო მიდიოდა, ბაბალე თანდათან ხანში შედიოდა და მისი „ფონდები“ თანდათან იაფდებოდა, ასე რომ მალე კნეინა ბაბალეს სახელი მოედნის ძმაბიჭებშიაც იხსენიებოდა. მარიკო კვლავ შონა-მორჩილი მოსამსახურე იყო. ხედამდა ყველაფერს, იცოდა, მაგრამ აბა ქალბატონს რას გაუბედავდა, და ასე ალბად შეალევდა თავის სიცოცხლეს ქალბატონს, მაგრამ...

(შემდეგი იქნება).

ი. გედევანიშვილი.

## სანიტარიის საყურადღებოდ

მე-X-ე უბანში ანდრეევის ქუჩ. № 67-ში არის სარდაფში მოთავსებული ძველი მყრალი სელიოტკა რის ახლოც რამოდენიმე მანძილზე ადამიანის გავლა შეუძლებელია, რადგანაც სელიოტკა ძლიერ ყარს. სხვა და სხვა გადამდებ სენის თავიდან ასაცილებლად სასურველია ხსენებულ განყოფილებამ მიაქციოს ყურადღება და სარდაფი იქნას გაწმენდილი.

**მუშკორი კინო.**

---

## საუბარი გლეხებთან

### გამსაღებელი კოოპერატივები

დადგა შემოდგომა. აივსო გლეხების ჭკარ-მიდამო ჭირნახულით: პური, ქერი, ფეტვი, სიმინდი, კარტოფილი, ხილი და სხ.

მალე ვენახებიც დაიკრიფება და მარნებში იწყობს დუღილს მაჭარი.

სავსეა გლეხის ოჯახი ახალის მოსავლით. მაგრამ სავსეა იგივე გლეხი ვალებით. ეს ვალი აილო მან ფულიან კაცებიდან, სპეკულიანტებიდან. ამ ვალს გასტუმრება უნდა. აქედან ისახება გარდუვალი საჭიროება, ჩქარა და მალე გაიყიდოს ჭირნახული.

ასეთს დღეშია არა ერთი და ორი გლეხი, არამედ უმრავლესობა. მაშასადამე უმრავლესობა დაინტერესებულია იმაში, რაც შეიძლება ადრე და მალე გაყიდოს წლის მოსავალი. შორს წასვლის უნარიც არა აქვს გლეხს. ყველას გამოაქვს თავისი საქონელი ადგილობრივ ბაზარზე ანუ იარმუკაზე.

აი ამ სასოფლო იარმუკებზე თავს იყრის უამრავი საქონელი ახალის მოსავლისა. წინადადება ერთობ დიდია და მოთხოვნა კი ნაკლები. ეს სცემს ძირს საქონლის ფასს.

ამის გამო გლეხის ნაშრომი იყიდება ნაკლებ ფასებში. მყიდველები სულ სპეკულიანტები არიან. ესენი ეძებენ იაფად და მერე ჰყიდიან დიდ ცენტრებში მომხარებლებზედ ერთი-ათად მეტ ფასებში.

აი აქ, ამ ანორმალურ ფუნქციებში, იმალება ის ეკონომიური ტრაგედია, რომელსაც განიცდიან მწარმოებელნიც და მომხმარებლებიც.

ერთსაც და მეორესაც აქ უნდა დახმარება, ერთსაც და მეორესაც უნდა შველა, რომ მათ უშუალოდ დაიჭირონ ერთმანეთთან ეკონომიური კავშირი და მათ შუა არა დგებოდეს ჩარჩი და სპეკულიანტი, რომელიც ტყავს აძრობს ერთსაც და მეორესაც.

ჭირისაგან თავის ხსნას გაზეთები ხედავენ „გამსაღებელ კოოპერაციების“ მოწყობაში.

ეჭვს გარეშეა, რომ კარგად მოწყობილი და მკვიდრ ფინანსიურ ლონეზე დაყენებული კოოპერაცია ბევრს სიკეთეს მოუტანს სოფლის მეურნეობას, აგრეთვე საჭიროა ფართედ მოწყობილი სამეურნეო კრედიტი.

მიეცით გლეხებს კრედიტი, თუნდაც მისის ჭირნახულის გირაოს ქვეშ, მოუნაცვლეთ ამ სახით მას ხელი და ის აღარ გაჰყიდის აჩქარებით თავის ნაწარმოებს. ის მაშინ მოუცდის მაზანდის აწევას და გაყიდის მაშინ, როდესაც ამისათვის უფრო ხელსაყრელი პირობები დადგება.

მეორე საშუალება არის დიდი საწყობების მოწყობა ქალაქებში. ამ საწყობების მოწყობა უნდა იკისროს ან მთავრობამ, ან ციკავშირმა.

ასეთ საწყობებში მოზიდავდნენ გლეხები თავიანთ ნაწარმოებს, მიიღებენ ამ თავითვე რამდენიმე ათეულ პროცენტს ღირებულობისას. და [illegible] დანარჩენს გასაღების შემდეგ.

ასეთ საფუძველზეა მოწყობილი [illegible] დღეს „კახეთის“ ფირმის საქმეები და „მწყემსისა“.

ამ პრინციპზედ უნდა აშენდეს ყველა სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოებთა გასაღება.

**ხტუმარი.**

---

## კორესპონდენცია

### რაჭა

**სკოლები და გზები.** რაჭაში, როგორც სკოლების საქმეს, აგრეთვე გზების შეკეთებასა და გაყვანას დიდი ყურადღება, დიდი შრომა ესაჭიროება. განათლებულ ქვეყნებში სკოლებს და გზებს უდიდესი ყურადღება აქვს მიქცეული.

მაზრებიდან იტყობინებიან: სკოლები არ გვაქვს, სკოლები იხურებაო; არ შეიძლება ყურადღება არ მიაქციო ამ გარემოებას.

მართლაც და დიდათ სამწუხაროა—ხალხს განათლებისადმი მისწრაფება, ცოდნის მიღების სურვილი გაუძლიერდეს და სკოლებს კი ვერ ვამრავლებდეთ!

არა მარტო სკოლების რაოდენობას, ღირსებასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ ღირსებას კი—სკოლისთვის მასწავლებელი ჰქმნის და არ შეიძლება მასწავლებელთა შემადგენლობასაც დიდი ყურადღება არ მიექცეს!

შემთხვევა მქონდა—ქვემო რაჭაში ბავშვები გამომეცადა: ოთხ-ოთხი კლასი დაუსრულებიათ, დიდი დრო გაუცდენიათ და ცოდნა კი ძალიან ცოტა აქვთ.

მასწავლებლის მთავარი მიზანია ბავშს ცოდნის მიღების სურვილი აღუძრას და შესაფერად მოამზადოს...

დიდი ზღვარი არ უნდა იყვეს სოფლელ და ქალაქელ ერთსა და იმავე კლასის მოწაფეთა შორის. შესაძლებელია სოფლელმა მოწაფემ ქალაქელ მოწაფეზე გაცილებით უკეთ იცოდეს ისეთი საგნები, როგორიც არის ბუნების მეტყველება და ქართული ენა.

ჩვენ კი ვხედავთ, რომ სოფლელი მოწაფე ჩამორჩენილია და იმდენად ძლიერია ეს ჩამორჩენა, რომ შესაძლებელია თუ ეს საერთო ხასიათით, სისტემატიურად გაგრძელდა—საერთო, ხალხის განათლების საქმე ძალიან შეფერხდეს... ამას ყურადღება უნდა მიექცეს სანამდის გვიანი არაა! არის მაგალითები, რომ კარგი მასწავლებლები სოფელს და პატარა ქალაქებს გაურბიან. მაგ. ონიდან რამოდენიმე მასწავლებელი წასულა. ეს მოვლენა იმაზე მეტად სამწუხაროა, რამდენადაც სასიამოვნოა ონის ტეხნიკუმის პირველი გამოშვების გამარჯვება!..

მიზეზად მასწავლებელთა მატერიალურ სიდუხჭირეს ასახელებენ. ეს თუ ასეა,—მთავრობამ უნდა გამონახოს საშუალება ამის წინაალმდეგ.

რაჭაში ბევრი ახალგაზრდა უსწავლელი რჩება იმიტომ, რომ სკოლა ძალიან შორსა აქვს და ყოველ დღე სიარული შეუძლებელია.

აქ ხშირად შვიდ რვა სოფელს ერთი სკოლა აქვს; ტეხნიკუმი კიდევ 10—15 სოფელზე მოდის და ზოგიერთ საზოგადოებაზე ძალიან დაშორებულია!

ყოვლად მოუხერხებელია, რომ წესის, ამბროლაურის და სადმელის საზოგადოებებს ერთი ტეხნიკუმი ჰქონდეთ!

ამ შემთხვევაში განაპირა სოფლელებს 14—15 ვერსზე და მეტზედაც დასჭირდებოდათ სიარული! აუცილებელია აქ როგორც დაბალ სკოლების, აგრეთვე ტეხნიკუმების გამრავლებაც... რაიც შეეხება სასწავლებლის ადგილ-მდებარეობას—მიუცილებლად უნდა აირჩეს ისეთი ადგილი, სადაც ჰავა უკეთესია და სურსათი კიდევ ადვილი საშოვნელი! ამ მხრივ ამბროლაურის საზოგადოებას გაცილებით აჯობებს წესის საზოგადოება—ხიდის კარი, როგორც სალი და სოლებით გარშემორტყმული. ამბროლაურის არჩევა დიდი შეცდომა იქნება, რადგანაც იგი დაბლობი და ციებიანი ადგილია!..

სასწავლებლის ადგილ-მდებარეობის არჩევაში რომელიმე მასწავლებლის პირადი ანგარიში არ უნდა ერიოს, ვინაიდან მიმოსვლის საშუალება მასწავლებლისთვის უფრო ადვილი მოსახერხებელია ვინემ 100 და 200 მოწაფისათვის!..

მეტი ყურადღება ესაჭიროება სკოლებს, მით უმეტეს, რომ ამით რაჭის ულარიბესი გლეხიც კი ხშირად უაღრესად დაინტერესებულია!..

აღსანიშნავია, რომ ქალაქი ონი სავსებით ღირსია ერთი, თუნდაც დაბალი, სამეურნეო სკოლისა. რაჭის მაზრა ამას უეჭველად საჭიროებს! ასეთი სკოლის გახსნას, რამდენადაც ვიცით, გასულ წლებში ცდილობდნენ და საკვირველია რა იყო აქ დაუძლეველი?!..

მაზრის ეკონომიურ გაჯანსაღებას, სიძლიერეს კი უეჭველად გზების გაყვანა მოგვცემს.

მთავარი შარა-გზა 9—10 არშინიანი პირველი—მიიმართება ნაქერალადან ამბროლაურზე და უერთდება ოსეთის სამხედრო გზას.

მეორე ასეთივე გზაც ნაქერალადანვე სოფელ ველევზე, სხვავაზე, ბრაგარძალისკენ რომ უნდა წავიდეს—ქ. ონს შეუერთდება!

პირველი გზის გაყვანა სულ მალე დამთავრდება, ხოლო მეორისა—ეხლა დაიწყეს... ამ შარაგზების გაყვანით უდიდესი საქმე გაკეთდება და აქ ცხოვრება ჩვეულებრივად ძნელი და აუტანელიც აღარ იქნება!

სოფელმა გაიგო გზის მნიშვნელობა. აქ ყველა სოფელი (სადაც კი ოდნავ შეგნებული მცხოვრებნი არიან) ცდილობს გზები გააუმჯობესოს, ახალი გაიყვანოს, რა თქმა უნდა, ამის შემდეგ თვით ცხოვრების გაუმჯობესებაც ადვილი იქნება...

ყოველ სოფელს, რომ კარგი გზა ჰქონდეს,—მთელ საქართველოში კარგი გზები იქნება!

ამაში სოფელი მეტად დაინტერესებულია და მთავრობაც უეჭველია ღირსეულ ხელმძღვანელობას გაუწევს!

სეზონიც დგება! ეხლა გზების კეთების დროა!..

ნუღა დავაყოვნებთ,—დრო საშურია!

**ხევ. ხიმშელი.**

---

**ს. კიკეთი.** წელს აგარაკად გამოცხადებულ იქმნა ს. კიკეთიც: ეს ასეც უნდა ყოფილიყო. თვისი აგარაკულ მორთულობით ის არ ჩამოუვარდება თვით მის მეზობელ აგარაკს კოჯორს, რომელზედაც ის რაღაც 5 თუ 6 ვერსზეა მოშორებული. უკანასკნელთან შედარებით ამ მხრივ მას უპირატესობაც კი ეკუთვნის... ტყით შემოსილ მთის კალთებში და ვაკეში აქა იქ გამოიყურება რამდენიმე სახლი. მათი რიცხვი აქ არ აღემატება 25 ს. დიდი ხნის შეუკეთებლობის გამო, პირველ შეხედვისთანავე, უმრავლესობა მათგანი ნაღვლიანად გამოიყურება; ახლო დაკვირვებით და გაცნობით ეს ნაღველი უფრო ღრმავდება... უმრავლესობა მათგანი მთავრობის განკარგულებაშია—ნაციონალიზაცია ქმნილი. მთავრობის ბინები, როგორც საზოგადოდ, საბჭოთა მოსამსახურეებს უჭირავთ. არსებობს აქ საბავშო ახალშენიც:—ქალ. ტფილისის აღმასკომის რამოდენიმე შრომის სკოლათა. მოსწავლეთა რიცხვი 200 მდეა, რომლებიც იმყოფებიან ამერიკულ დამხმარე კომიტეტის მზრუნველობის ქვეშ.

იშვიათია ასეთი მრავალრიცხოვანი მთლიანი ახალშენი. ახალშენს უჭირავს მთლიანად 4 სახლი და რამოდენიმე ოთახებიც ცალკე სახლებში. მაინც და მაინც სივიწროვეს ადგილი არა აქვს... მდიდარ ბუნების წიაღში მყოფ ჩვენს მომავალ თაობას ხელს უწყობს საკმაო კვებაც, რაზედაც ხსენებული დამხმარე კომიტეტი არაფერს იშურებს. საექიმო ცნობების მიხედვით ეს ბავშვები ყოფილან ამორჩეული, როგორც სუსტნი და ფიზიკურად დაუძლურებულნი. სახის გამომეტყველება ამტკიცებს, რომ მათ გამომრთელება დატყობიათ.

ამ უმთავრესი მიზნის გარდა კიდევ მრავალს სხვა მხარეებს ჰქონია მიქცეული ყურადღება. მათ შორის ახლო-მახლო ექსკურსიებსაც. ამ დარგში კიდევ მეტს ცდილობენ.

მრავალია შესრულებული ახალშენის მიერ. მუშათა და გლეხთა ხელისუფლება—რომელიც დიდად იღწვის ჩვენ მომავალ თაობაზე—და ამერიკელ დამხმარე კომიტეტს, რომელიც აგრეთვე უმეტესად ბავშებს მზრუნველობს, დახმარებით უღრმესი მადლობა ეკუთვნის.

სასურველია, რომ მომავალშიც ყოველთვის ჰქონდეს ადგილი დათმობილი ხსენებულ აგარაკში ახალშენს.

**მგზავრი.**

---

## მეაბრეშუმეობისათვის

ჩვენ მეაბრეშუმე სპეციალისტი არა ვართ, მაგრამ როგორც ჩაკვირვებიდან ვტყობილობთ ჩვენი მეაბრეშუმეობა თანდათან დაცემისაკენ მიდის.

ჩვენში საბრეშუმო კულტურისათვის ზრუნვა მცირეზე—მცირეა და ისიც ეფემერული შემთხვევითი...

ჩვენში არ არის საბრეშუმო ცოდნის გამავრცელებელი სკოლა, ჩვენში არ არის აბრეშუმის პარკის ჩვენშივე დამუშავების ქარხანა...

არის ორი სადგური—ქუთაისის და ტფილისის.

მაგრამ ვერც ერთმა ჯეროვნობით ხალხს ჯეროვანი დახმარება და ხელმძღვანელობა ვერ გაუწია...

ხალხი პრიმიტიულ წესებით „შელოცვებით“ ეწევა მეაბრეშუმეობას და რა გასაკვირია ასეთ პირობებში მისი ნაყოფი დამაკმაყოფილებელი რომ არ იქმნეს!..

სამეურნეო ქვეყანაში სადაც ჰავა ხელს უწყობს მეაბრეშუმეობის უდიდეს მზრუნველობა გვმართებს საბრეშუმო კულტურისათვის. რა გვჭირია ჩვენ ამ დარგში? სპეციალი სკოლა, უცხო განმოცდილი ინსტრუქტორების ხელმძღვანელობა და საბრეშუმო ქარხანა!..

აღმოსავლეთ საქართველოში როგორც ეტყობა მეაბრეშუმეთა განადგურებული რჩება შაჰაბაზის რისხვის შემდგომ, რომელმაც მე-17 საუკ. თავის მორიგ შემოსევის და კახეთის აწყვეტის დროს თუთის ხეები გასჩეხა, რომ ხალხს აბრეშუმი ვერ მოეყვანა. ისტორია გვიმტკიცებს თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ხალხისათვის მეაბრეშუმეობას სხვა და სხვა დესპოტების მიერ დაბეგვრილი ქართლის მცირე ერი გადასახადს ხშირად მხოლოდ აბრეშუმით იხდიდა.

ტფილისის სადგურს ჰმართებდა კახეთში მაინც აღედგინა მეაბრეშუმეობა...

ჩვენი ხალხის ეკონომიური კეთილდღეობისათვის და სამეურნეო წარმატებისათვის აუცილებელია მეაბრეშუმეობის სერიოზული ყურადღება მიეცეს. იგი მთლად დაკნინდა. საჭიროა მისი აღორძინება!..

საბრეშუმო ცოდნის გავრცელება, საბრეშუმო ქარხნის დაარსება და ქართველ მეაბრეშუმეთა საბრეშუმო ცოდნის მისაღებად უცხოეთში წარგზავნა აღორძინებს მეაბრეშუმეობას...

**ევროპიელი.**

---

## წერილები რედაქციის მიმართ

### (განათლების კომისარიატის საყურადღებოდ)

ამხ. რედაქტორო! საშუალება მოგვეცით თქვენი პატივცემულ გაზეთის საშუალებით გამოვაცხადო შემდეგი:

1915 წ. სოფელ საგარეჯოში, მოსკოვის კურსებიდან დაბრუნების შემდეგ, პატივცემულმა ანნა კაპანაძემ გახსნა საფეიქრო სახელოსნო-სასწავლებელი. დაარსებიდანვე ამ სასწავლებელში მე ვითვლებოდი მოწაფედ. 1916 წ. გავათავე და 1920 წლამდე დავრჩი პრაქტიკაზე. ამავე წელს, როდესაც ან. კაპანაძემ თავი გაანება სახელოსნო-სასწავლებელს და წავიდა თავის თანამდებობა, ე. ი. მასწავლებლობა გადმომცა მე, და დამტკიცებულ ვიქმენი ამ თანამდებობაზე ტფილისის მაზრის აღმასკომის განათლების განყოფილების მიერ. ასე, რომ 1920—22 წლამდე მე ვითვლებოდი აღნიშნულ სას. სასწავლებლის ოფიციალურ მასწავლებლად.

მე აქ აღარ შეუდგები იმის აღნიშვნას, თუ როგორ მიმყავდა საქმე, როგორი შრომა დავხარჯე და სხ. ამისი შეფასება მიმინდვია საგარეჯოს გლეხებისთვის, აქაურ მოწინავე ინტელიგენციისათვის და იმ მოწაფეებისათვის, რომელთაც მე ვრწვთნიდი. მხოლოდ ერთს კი თამამად ვაცხადებ, რომ აღნიშნული სახელოსნო საფეიქრო-სასწავლებელი მე მიჩნეული მქონდა საკუთარ საყვარელ კერად—სამლოცველო ტაძრად.

1922 წ. 20 ღვინობისთვეს, ინსტრუქტორმა ელენტმა მოიყვანა ვინმე **კატო ხატისოვა.** სახელოსნოს დათვალიერების შემდეგ გამომიცხადა, რომ ამიერიდან ხატისოვა ინიშნება მასწავლებლად და მე კი მის თანაშემწედ. ელენტის ასეთ განცხადება-წინადადებაზე, პირველად მე მორჩილებით [illegible] ვინაიდან ვფიქრობდი, რომ შეიძლება [illegible] ნიშნული მასწავლებელ—ხატისოვას ჩემზე [illegible] არა თუ სტაჟი ჰქონდა [illegible] მოირკვა, რომ ამ ახალ მასწავლებელს არც სტაჟი ჰქონია და არც პრაქტიკა. მიუხედავად ამისა, არ გასულა ხატისოვას დანიშვნის შემდეგ ორი კვირა და ვღებულობ ოფიციალურ მოწერილობას მაზრის აღმასკომის განათლების განყოფილებიდან გურგენიძის ხელის მოწერით. საიდანაც ვტყობილობ, რომ მე საგარეჯოს საფეიქრო სასწავლებლის მასწავლებლობის თანამდებობიდან მოხსნილი ვარ.

რატომ? რისთვის? რა მიზეზით?—ამას რა თქმა უნდა არავინ დაგიდევს. ამის შემდეგ მივმართე პირადად გურგენიძეს და დასაკმაყოფილებლად მივიღე არა პირდაპირი, არამედ ჩემთვის მეტად საეჭვო და მიკიბულ-მოკიბული პასუხი: სხვათა შორის ეს გურგენიძე მეუბნება, რომ **თუ გსურს მოგცემთ მასწავლებლის ადგილს ნინოწმინდის საფეიქრო სასწავლებელშიო.** მე ასეთ მათი „კეთილ“ წინადადებაზე უარით უპასუხე.—როგორ? მე, საგარეჯოს ხალხის შვილს, სახელოსნოსთან დაბინავებულს, მოწაფეთა ხასიათებთან შეწყობილს, **ყოველგვარი მიზეზის გარეშე,** მაძევებენ, მიფორიაქებენ საკუთარ და საყვარელ კერას და მეპატიჟებიან ნინოწმინდაში. მერე ინტერესი? ალბად იმიტომ, რომ ხატისოვას საგარეჯო მოეწონა და კიდევ სხვა...

აქ ერთი რამ უეჭველად საგულისხმიეროა:—თუ რომ ნინოწმინდაში მასწავლებლის ალაგი იყო თავისუფალი, რატომ ეს ხატისოვა არ მოათავსეს იქა? და თუ მე იმიტომ მომხსნეს (ყოველ შემთხვევაში) რომ ცუდი მასწავლებელი ვიყავი, განა ნინოწმიდაში გავკარგდებოდი? აქ მკითხველისთვის ვგონებთ კომენტარიები მეტია და ვფიქრობთ, რომ განათლების კომისარიატიც უნდა დარწმუნდეს, რომ მომხდარ აქტში რაღაცა „ძაღლის თავი“ უნდა იყოს დამარხული.

პროვინციის მართველობის ჩემდამი ასეთი უკანონო მოპყრობამ ისე ცუდად იმოქმედა ჩემზე, რომ მთელი წლის განმავლობაში ავადმყოფობდი, რის გამოც არ მქონდა შემთხვევა, რომ გამომემჟღავნებინა პროვინციაში ადმინასტრაციის მოხელეთა მიერ ჩადენილი ისეთი მოქმედება, რომელიც თითქმის ბოროტ-მოქმედებას უდრის.

დარწმუნებული ვარ, განათლების კომისარიატი ამ საქმეს მიაქცევს ყურადღებას; მოახდენს კვლევა-ძიებას, აღადგენს სამართლიანობას და დამნაშავეს კი დასჯის ისე, რომ იგი სამაგალითოდ დარჩება დანარჩენთათვის.

საგარეჯოს საფეიქრო სასწავლებლის „ყოფილი“ მასწავლებელი **ოლა ლუკაშვილი.**

—:—

### ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ თქვენს გაზეთის ფურცელზე დაუთმოთ ადგილი შემდეგს: გაზეთ „კომუნისტის“ 213 №-ში დაბეჭდილია კასიოს წერილი და სხვათა შორის, ის წერილში ამბობს: „მაგრამ მე ვიცი, რომ მათ მიერ ჩამოთვლილ მწერლების მასალები უნდა დაბეჭდილიყო ჟურნალ „კანდელში“, რომელიც აღნიშნულ ჟურნალის შეჩერების გამო შემთხვევით დაიბეჭდა „მწვერვალში,“ ამის საპასუხოთ მე არ მცალოდა, მაგრამ რადგანაც „ტრიბუნის“ № 677-ში დ. კასრაძე ითხოვს ჩემგან ამის უარყოფას, მე ვაცხადებ, რომ „მწვერვალისთვის“ ჩემი ჟურნალის მასალები არ გადამიცია და პირიქით კასრაძე კი მეხმარებოდა კერძოთ მისი მასალებით.

„კანდელის“ რედაქტორი **შ. ჯანბერიძე.**

—:—

### ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით გამოაცხადოთ შემდეგი:

ჩვენ ქვემორე ამისა ხელის მომწერნი, რაჭის მშრომელი მიწის მუშები, საჯაროთ ვაცხადებთ მშრომელი ხალხის საყურადღებოთ, რომ ჩვენი სიმპატია მუდამ იხრებოდა საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიისაკენ, მაგრამ ამ პარტიის გაყოფამ, გადატრიალების შემდეგ, გაუგებრობა დაბადა ჩვენში, რამაც ერთგვარი გულგრილობა გამოიწვია ყოველივე პოლიტიკური პარტიის მიმართ. მაგრამ გავეცანით რა საქ. მემარცხ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიის მოქმედების გეზს, ვაღიარებთ: მისი გზა ერისა და სოციალიზმის ინტერესების დაცვაში სწორია. ამიტომ გვსურს შეუერთდეთ ამ პარტიის რიგებს, როგორც მშრომელი ელემენტები მისივე დამცველ ძალას და ამასვე ვურჩევთ ჩვენგვარ მუშებსაც, რომელნიც ჯერ კიდევ არ არიან აღნიშნული პარტიის რიგებში.

1) **დ. კერესელიძე,** 2) **გ. მიქავშვილი,** 3) **გალ. გამყრელიძე,** 4) **ს. ელბაქიძე.**

ს. წესი. 1923 წ. 12 სექტ.

---

### შეცდომის გასწორება

გაზეთ „ტრიბუნის“ № 577 დ. კასრაძის საპასუხო წერილში მოქ. კასიოს წინააღმდეგ პირველ სვეტში ქვევიდან ზევით 27 სტრიქონი იწყება: **„და თუ ეს ალიარა, მაშინ რაღა ვუწოდოთ და სხ...** უნდა იყოს: **„და თუ ეს აფიორაა, მაშინ რაღა ვუწოდოთ „სურამის ციხის“ ლენტით ქალაქებში და პროვინციებში ხიარულს, ვითომც „ბაპიროზის“ სასარგებლოდ იმართებოდა და სხ.“**

---

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

ტირაჟი 1900 ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარ მართველობის მიერ № 660 სტამბა გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-სი, კრუზენშტეინის ქუჩ № 4.